ჯოის მაიერი

გულგატეხილთა განკურნება

განიცადე განახლება
ღვთის სიტყვის ძალით

გულგატეხილთა
განკურნება

გულგატეხილთა
განკურნება

განიცადე განახლება
ღვთის სიტყვის ძალით

ჯოის
მაიერი

If you purchase this book without a cover you should be aware that this book may have been stolen property and reported as “unsold and destroyed» to the publisher. In such case neither the author nor the publisher has received any payment for this “stripped book.”
Warner Books Edition

Copyright © 1997 by Joyce Meyer Life In the Word, Inc.
P.O. Box 655
Fenton, Missouri 63026 All rights reserved.
Warner Faith
Time Warner Book Group
1271 Avenue of the Americas, New York, NY 10020 Visit our Web site at www.twbookmark.com.
Warner Faith® and the Warner Faith logo are trademarks of Time Warner Book Group Inc.
Printed in the United States of America First Warner Faith Edition: February 2003 10 9 8 7 6
ISBN: 0-446-69207-7 (Special Sales Edition) LCCN: 2002115544

თარგმნილია ინგლისურიდან, 2016
Unless otherwise indicated, all Scripture quotations are taken from The Amplified Bible (AMP). The Amplified Bible, Old Testament copyright © 1965, 1987 by The Zondervan Corporation. The Amplified New Testament, copy· right © 1954, 1958, 1987 by The Lockman Foundation. Used by permission.

შინაარსი

შესავალი: ღვთის სიტყვა.....9

1. ღვთის სიყვარულის განცდა.....15

2. თქვენს მომავალში დარწმუნება.....25

3. ქრისტეში თქვენი გამართლების გაცნობიერება.....35

4. შიშის გადალახვა თქვენს ცხოვრებაში.....45

დასკვნა: მტკიცედ იდექით!.....53

წმ. წერილის აღიარება.....55

შესავალი: ღვთის სიტყვა.....55

ღვთის სიყვარული.....56

თქვენი მომავალი.....60

თქვენი გამართლება ქრისტეში.....64

შიშის დაძლევა.....68

დასკვნა: მტკიცედ დგომა.....72

ადგილები ბიბლიიდან.....72

ავტორის შესახებ.....73

გულგატეხილთა
განკურნება

შესავალი:
ღვთის სიტყვა

❤ მოუვლინა თავისი სიტყვა, განკურნა ისინი და საფლავისგან გამოიხსნა.

ფს. 107:20

ღვთის სიტყვა გვკურნავს და გვიხსნის. იგი ასევე გვცვლის ჩვენ და ჩვენს ცხოვრებას.

ღვთის სიტყვა შეგცვლით.

ფს. 1:1-3-ში დავითმა დაწერა, რომ ადამიანი, ვინც დღედაღამ ღვთის სიტყვაზე ფიქრობს, ხესავით მტკიცედ გაიდგამს ფესვებს და ყველაფერში წარმატებული იქნება.

დანერგილი ხე სიმტკიცეზე მიანიშნებს. თქვენ შეგიძლიათ წარმატების მიღწევა ყველა თქვენს საქმეში. ამის მიღწევის ხერხი ღვთის სიტყვაზე ფიქრია.

ღვთის სიტყვაზე ფიქრისას, მას გონებაში ვატრიალებთ, ავწონ-დავწონით და ჩვენთვის ვიმეორებთ, როგორც უფალმა უბრძანა თავის მსახურს, იეშუა ნავეს ძეს:

> ♥ ნუ განშორდება რჯულის ეს წიგნი შენს ბაგეთ – დღე და ღამე იფიქრე მასზე, რომ იფხიზლო ყოველივე მასში ჩაწერილის აღსასრულებლად, რადგან მაშინ მიაღწევ წარმატებას და სიკეთეს შენს გზებზე.
>
> იეშუა ნავეს ძე 1:8

2 რჯ. 30:14 გვეუბნება: ♥ *„რადგან ძალიან ახლოა ეს სიტყვა შენთან; შენს ბაგეზეა იგი და შენს გულში, რათა ასრულებდე მას.“*

ეს. 55:11-ში უფალი გვპირდება: ♥ *„ასე იქნება ჩემი სიტყვა, რომელიც გამოდის ჩემი ბაგიდან – ფუჭად არ დამიბრუნდება იგი, რადგან იმას მოიმოქმედებს, რაც მსურს და მიაღწევს იმას, რისთვისაც გავგზავნე.“*

2 კორ. 3:18-ში პავლე მოციქული გვასწავლის, რომ ღვთის სიტყვაში მისი დიდების ცქერისას გარდავიქმნებით და ვიცვლებით. უფლის დიდების დანახვის ნაწილია ჩვენთვის განკუთვნილი მისი დიდებული გეგმის ხილვა და რწმენა.

ღმერთს ვუყვარვართ. მას კარგი და დიდებული გეგმა აქვს ჩვენთვის, ჩვენი ცხოვრებისთვის. ეფესელთა პირველ თავში პავლე ამბობს, რომ ღმერთმა იესო ქრისტეს მეშვეობით გადარჩენის მთლიანი გეგმა დასახა იმ ძლიერ სიყვარულიში დასარწმუნებლად, რომლითაც შეგვიყვარა.

ეს ნიშნავს, რომ ღმერთს უყვარხართ და მას დიადი განზრახვა აქვს თქვენთვის და თქვენი ცხოვრებისთვის. მხოლოდ ის გჭირდებათ, რომ ირწმუნოთ და აღიაროთ იგი.

ეშმაკი ღვთის გეგმის დანგრევას ცდილობს. მან ყველაფერი გააკეთა თქვენს ცხოვრებაში, რომ თავი უღირსად გეგრძნოთ. რატომ? იმიტომ, რომ მას არ

სურს დაიჯეროთ, თუ რა დიდია ღვთის სიყვარული თქვენს მიმართ. სატანამ იცის, რომ ღვთის სიტყვის მრავალჯერადი მოსმენით და მისი შინაგანი მიღებით, აზროვნებაში გათავისებით, შეიცვლებით. სწორედ ეს არ უნდა მას.

ამ მიზეზის გამო დავწერე ეს წიგნი. იგი მოიცავს წმ. წერილის მონაკვეთებს, რომლებიც, ჩემი აზრით, შეცვლის თქვენს წარმოდგენას საკუთარ თავზე, რითაც თქვენი აწმყო და მომავალიც შეიცვლება.

ბიბლიის თანახმად, თქვენ შექმნილი ხართ ღვთის ხატად (დაბ. 1:27). იმის რწმენით, რასაც ღმერთი თქვენზე ამბობს, იცვლება თქვენი დამოკიდებულება და შეხედულება საკუთარი თავის მიმართ. გამოიკვლიეთ, რა წარმოდგენა გაქვთ საკუთარ თავზე, „როგორია ჩემი შეხედულება საკუთარ თავზე?“ და შემდეგ დასვით კითხვა: „ღმერთი რას ფიქრობს ჩემზე? რა შეხედულება აქვს მას ჩემზე?“

რასაც ღმერთი თქვენზე ფიქრობს და ამბობს, მის სიტყვაში მოიძიებთ. ამ წიგნში მოყვანილი მუხლები მტერთან თანხმობის ნაცვლად ღმერთთან თანხმობაში მოგიყვანთ. შესაძლოა, ეშმაკი მთელი ცხოვრების მანძილზე გატყუებდათ და მისი გჯეროდათ. ახლა დროა, ღმერთს ერწმუნოთ!

იოან. 17:17-ში იესომ თქვა, რომ ღვთის სიტყვა ჭეშმარიტებაა, ხოლო იოან. 8:32-ში იგი ამბობს, რომ ჭეშმარიტება გვათავისუფლებს. ღვთის სიტყვა, ჭეშმარიტების სიტყვა არა მარტო გვათავისუფლებს, არამედ ჩვენს მსოფლმხედველობასა და ბუნებასაც ცვლის. სწორედ ამიტომ უნდა ვკუთხულობდეთ მას, ვსწავლობდეთ და ვფიქრობდეთ მასზე.

ქრისტეში თავდაჯერებული, სიხარულით სავსე, გამარჯვებული, ერთგული, ღვთის მეგობარი და ღვთის სახის მაძიებელი ხართ.[1]

აღიარეთ საკუთარი თავის შესახებ ის, რასაც ღმერთი ამბობს ღვთის სიტყვაში. როცა ასე მოიქცევით, იგი თქვენს ცხოვრებაში შრომას დაიწყებს. გულგატეხილი, დაჭრილი და შიშით სავსე პიროვნებისგან ღვთის ერთგულ მეგობრად იქცევით, რომელიც მას უყვარს და თქვენგან საპასუხო სიყვარულსაც იღებს.

ეს. 61:1-3-ში ვკითხულობთ:

> ❤ უფლის სულია ჩემზე, რადგან მცხო უფალმა გლახაკთა სახარებლად, წარმომგზავნა გულმემუსვრილთა განსაკურნებლად, ტყვეთათვის თავისუფლების გამოსაცხადებლად და პატიმართა გასათავისუფლებლად. უფლის სასურველი წელიწადისა და ჩვენი ღმერთის შურისგების დღის გამოსაცხადებლად, რათა ვანუგეშო ყველა მგლოვიარე. მივმადლო სიონის მგლოვიარეთ, მივცე მათ გვირგვინი (დიადემა) ფერფლის ნაცვლად, სიხარულის ზეთი – გლოვის ნაცვლად, ქების [გამომხატველობითია] მოსასხამი – უძლურების სულის ნაცვლად. და უწოდებენ მათ უფლის მიერ დანერგილ სიმართლის სვეტებს [ტანად, ძლიერ, დიდებულ, სიმართლით და სამართლიანობით გამორჩეულ ადამიანებს, რომლებიც სწორად დგანან ღვთის წინაშე], რათა განდიდდეს იგი.

დიახ, ღმერთი გცვლით. იგი ცვლის თქვენს ბუნებას.

1. ეფუძნება საგალობელს „შენს სახელს შევცვლი“ – ტექსტი და მუსიკა ეკუთვნის ბ.ჯ. ბატლერს (© Mercy Publishing. საავტორო უფლების დაცვით).

იგი ცვლის თქვენს ცხოვრებას. ღმერთს უყვარხართ. თქვენ განსაკუთრებული ხართ. კაცობრიობის მტერს არ უნდა, რომ მიხვდეთ, რაოდენ უყვარხართ ღმერთს, მაგრამ უფალს ეს სურს.

მომდევნო ფურცლებიდან თქვენ ისწავლით არა მარტო იმას, თუ როგორ დარწმუნდეთ ღვთის სიყვარულში, არამედ იმასაც, თუ როგორ შეინარჩუნოთ თავდაჯერებულობა მომავლისადმი: როგორ გააცნობიეროდ თქვენი სიმართლე (ვინ ხართ ქრისტეში): როგორ გაიმარჯვოთ შიშსზე, რაც გაკარგვინებთ ღვთის კურთხევებს, რაც იმ საოცარი ცხოვრების ნაწილია, რომელიც მან თქვენთვის მოამზადა.

ღმერთი გაკურთხებთ, როცა ისწავლით მისი სიტყვის აღიარებას, რომელიც უკან არ დაბრუნდება, სანამ თქვენი ცხოვრებისთვის განსაზღვრულ ღვთის ნებას და მიზანს არ აღასრულებს!

თავი 1

ღვთის სიყვარულის განცდა

❤ მაგრამ ყოველივე ამას ვძლევთ ჩვენი მოყვარულის მეშვეობით. და მწამს, რომ ვერც სიკვდილი და ვერც სიცოცხლე, ვერც ანგელოზები და ვერც მთავრობანი, ვერც ძალნი, ვერც აწმყო და ვერც მომავალი, ვერც სიმაღლე და ვერც სიღრმე, ვერც ვერავითარი სხვა ქმნილება ვერ შეძლებს ჩვენს ჩამოშორებას ღვთის სიყვარულისაგან ჩვენს უფალ ქრისტე იესოში.

რომ. 8:37-39

ამ მონაკვეთში პავლე მოციქული გვარწმუნებს, რომ ცხოვრებაში არსებული წინააღმდეგობების მიუხედავად, გამარჯვება ჩვენია იესო ქრისტეს მეშვეობით, რომელმაც იმდენად შეგვიყვარა, რომ სიცოცხლე გასწირა ჩვენთვის.

იოან. 3:16-ში თავად იესო ამბობს: ❤ *„ვინაიდან ისე შეიყვარა ღმერთმა წუთისოფელი, რომ მისცა თავისი მხოლოდშობილი [ერთადერთი, უბადლო] ძე, რათა ყოველი მისი მორწმუნე [მას ზე დანდობილი, მიწებებული] არ დაიღუპოს, არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე.“*

იესოს საყვარელი მოწაფე, იოანე გვეუბნება, რომ ❤ *„სიყვარულში არ არის შიში, არამედ სრული [სრულყოფილი, სრულად გაზრდილი] სიყვარული სდევნის შიშს, ვინაიდან შიშში ტანჯვაა, მშიშარა კი სრული არ არის სიყვარულში [ჯერ არ მიუღწევია სრულყოფილი სიყვარულისთვის]“* (1 იოან. 4:18).

გულში შიშის ქონა იმის ნიშანია, რომ ჯერ კიდევ ვერ ვაცნობიერებთ, რაოდენ ვუყვარვართ ღმერთს.

ღვთის სიყვარულის სიდიადე რომ იცოდეთ, თქვენი გულიდან ყოველგვარი შიში განიდევნებოდა.

იოან. 16:27-ში იესო ამბობს: ❤ *„ვინაიდან თვითონ მამას უყვარხართ, რაკი მე შემიყვარეთ და ირწმუნეთ, რომ ღმერთისგან გამოვედი.“*

ნუთუ ძნელია თქვენთვის იმის გაგება, რომ ღმერთს ასე ძლიერ უყვარხართ?

წლების განმავლობაში ვერ ვიღებდი ღვთის სიყვარულს, რადგან ვფიქობდი, რომ ეს უნდა დამემსახურებინა. ახლა კი ვიცი, რომ მისი სიყვარული არ იცვლება ჩემი არასრულყოფილების მიუხედავად.

იოან. 14:21-ში იესო გვახსენებს: ❤ *„ვისაც ჩემი მცნებები აქვს და იცავს მათ, ის არის ჩემი მოყვარული [ნამდვილად], ჩემს მოყვარულს კი მამაჩემიც შეიყვარებს; მეც შევიყვარებ მას და მე თვითონ გამოვეცხადები [მისთვის ცხადად დასანახი და რეალური ვიქნები]“*.

იესოს სურს, რომ რეალური იყოს თქვენთვის.

მორჩილება ჭეშმარიტი სიყვარულის ნაყოფია, მაგრამ ვერასოდეს შეიყვარებთ ღმერთს იმდენად, რომ მისი მორჩილება შეძლოთ, სანამ არ მიიღებთ მის სიყვარულს თქვენს მიმართ. ამას ვერ დაიმსახურებთ. მისი სიყვარულის ყიდვა არ შეიძლება კეთილი საქმეებით ან კარგი ქცევით.

ღვთიური სიყვარული უსასყიდლო და უპირობოა. იგი ჩვენამდე იესოს ჯვარცმის მსხვერპლის მეშვეობით მოდის.

ახლავე მიიღეთ ღვთის სიყვარული. დადექით მის თანდასწრებაში და თქვით: „მწამს, რომ გიყვარვარ, უფალო და ვიღებ შენს სიყვარულს."

1 იოან. 4:19-ში ვკითხულობთ: ♥ „*ჩვენ გვიყვარს იმიტომ, რომ პირველად მან შეგვიყვარა.*" შესაძლოა, თქვენ ჩემსავით არ გესმოდათ მრავალი წლის მანძილზე, რომ ჯერ მან შეგვიყვარა. ალბათ, ცდილობდით მის შეყვარებას და ძალღონეს არ იშურებდით, რომ საპასუხოდ მისი სიყვარული დაგემსახურებინათ. ერთხელ კიდევ გადახედეთ 1 იოან. 4:19-ს: „*ჩვენ გვიყვარს იმიტომ, რომ პირველად მან შეგვიყვარა.*"

დავითი დარწმუნებული იყო ღვთის სიყვარულში, როცა ფს. 36:7-ში თქვა: ♥ „*რაოდენ ძვირფასია შენი წყალობა [ინგ. სიყვარული], ღმერთო, კაცთა შვილები შენს ფრთებქვეშ აფარებენ თავს.*"

მინდა, ერთი მონაკვეთი გაგიზიაროთ ფს. 139-დან. დავითს განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა ღმერთთან და კარგს ვიზამთ, თუ მის მაგალითს მივბაძავთ. აღიარეთ ამ ფსალმუნის სიტყვები:

> ♥ უფალო, შენ გამომიკვლიე და მიცნობ. იცი, როდის ვჯდები და ვდგები; შორიდანვე ხვდები ჩემს ფიქრებს. დავდივარ თუ ვისვენებ, ჩემს გვერდით ხარ; გამოკვლეული გაქვს ყველა გზა ჩემი. ჯერ ენაზეც არ მომდგომია სიტყვა, აჰა, უკვე სრულად იცის უფალმა. გარსშემომერტყი ზურგიდან და წინიდან და ხელი დამადე.

გაოცებული ვარ, როგორ შემიცანი ასე; ჩემს გონებას აღემატება. სად წავუვალ შენს სულს და შენს სახეს სად გავექცევი?...

რაოდენ ძვირფასია ჩემთვის შენი ზრახვანი, ღმერთო, და რაოდენ დიდია მათი რიცხვი. დავთვალო – ქვიშაზე უმრავლესია. ვიძინებ ამ ფიქრებში, ვიღვიძებ და, ისევ შენთან ვარ!

ფს. 139:1-7, 17,18

ეს შესანიშნავია!

წინასწარმეტყველი ესაია გვეუბნება, რომ ღმერთი გველოდება ჩვენს მიმართ სიკეთის საკეთებლად: „მაინც დაგელოდებათ უფალი, რათა შეგიწყალოთ; მაღლობზე იცდის, რომ შეგიბრალოთ, რადგან სამართლის ღმერთია უფალი, ნეტარია [ბედნიერია, შესაშურია] ყველა, ვინც მას [მის გამარჯვებას, მის კეთილგანწყობას, მის სიყვარულს, მის მშვიდობას, მის სიხარულს და მის უბადლო, ურღვევ მოზიარეობას] [წრფელად] მოელის.“ (ეს. 30:18)

იფიქრეთ ამაზე, რომ ღმერთს თქვენთან დროის გატარება სურს, რადგან უყვარხართ და მისთვის განსაკუთრებული ხართ.

ღმერთმა ისე შეგიყვარათ, რომ თქვენი ხეტიალიც კი აღრიცხული აქვს: თქვენს ცრემლებს ჭურჭელში ათავსებს და ამის შესახებ თავის წიგნში წერს (ფს. 56:8).

იოან. 14:18-ში იესო მოწაფეებს ეუბნება: ❤ *„ობლად [უნუგეშოდ, უპატრონოდ, უიმედოდ, შემწეობის გარეშე] არ დაგტოვებთ, მოვალ თქვენთან.“*

ფს. 27:10-ში დავითი წერს: ❤ *„თუნდაც მიმატოვოს ჩემმა დედ-მამამ, უფალი მიმიღებს მე [შვილად ამიყვანს].“*

შესაძლოა, სიყვარული გაკლიათ, რაც ყველა ადამიანს სურს და ეძებს; შესაძლოა, საკუთარმა ოჯახმა მიგატოვათ. ღმერთს სურს, რომ დღესვე გაიგოთ მისი ძლიერი სიყვარულის შესახებ, რომელიც იმდენად ძალმოსილია, რომ ნებისმიერი პიროვნების ცხოვრებაში არსებულ სიყვარულის ნაკლებობას გადაფარავს. ნება მიეცით მას, რომ განუგეშოთ და განკურნოს თქვენი დაჭრილი გული.

თქვენ ღვთის ოჯახში მიგიღეს. ახლა მისი შვილი ხართ და მას უყვარხართ.

ეფეს. 3:17-19-ში პავლე მოციქული თქვენთვის და ჩემთვის ლოცულობს:

> ❤ „ისე, რომ რწმენით დამკვიდრდეს ქრისტე თქვენს გულებში [დასახლდეს, სამუდამო სამყოფელად გაიხადოს] და იყოთ ფესვგადგმულნი და დაფუძნებულნი სიყვარულში; რათა შეძლოთ ყველა წმიდასთან ერთად [ღვთის ერთგულ ხალხთან ერთად, რომლებმაც მისი სიყვარული გამოსცადეს] ჩასწვდეთ, რა არის სიგანე, სიგრძე, სიმაღლე და სიღრმე, და შეიცნოთ [პრაქტიკულად გამოსცადოთ] ქრისტეს სიყვარული, ცოდნას [მხოლოდ თეორიას] რომ აღემატება, რათა აღივსოთ სრული ღვთიური სისავსით [ღვთიური თანდასწრების უმაღლესი ზომით აივსოთ და გახდეთ თავად ღმერთით პირთამდე სავსე]!

დიახ, ღმერთს უყვარხართ და თვალყურს გადევნებთ. იგი თვალს არასოდეს გაცილებთ. ეს. 49:16 ამბობს,

რომ თქვენი ხატება საკუთარი ხელის გულებზე ამოიტ-ვიფრა.

იოან. 15:9-ში იესო ამბობს: ♥ *„როგორც მე შემიყ-ვარა მამამ, მეც ისე შეგიყვარეთ თქვენ. დარჩით ჩემს სიყვარულში!“*

როგორი სიყვარულით უყვარხართ ღმერთს?

♥ „იმაზე დიდი სიყვარული არ არსებობს, როცა ვინმე თავს დადებს თავისი მეგობრისთვის.“
(იოან. 15:13)

ამაზე დიდი სიყვარულით არავის უყვარხართ!

იესოს თქვენთან მეგობრობა უნდა. მან სიცოცხლე გასწირა თქვენთვის და ამით გაჩვენათ, რაოდენ უყ-ვარხართ.

რომ. 5:6-ში პავლე გვახსენებს: ♥ *„რადგან ქრისტე, როცა ჯერ კიდევ უძლურნი ვიყავით, განსაზღვრულ დროს მოკვდა უღმრთოთათვის.“*

ღმერთმა ზუსტად საჭირო დროს გვაჩვენა თავისი დიდი სიყვარული ქრისტეს წარმოგზავნით, რომელიც ჩვენთვის მოკვდა, როცა ჯერ კიდევ ცოდვილები ვი-ყავით.

შემდეგ, მე-7 მუხლში პავლე აგრძელებს: ♥ „ძნელად თუ ვინმე მოკვდება მართლისათვის, ხოლო კეთილის-თვის, შესაძლოა, ვინმემ კიდეც გაბედოს სიკვდილი.“

და ბოლოს, მე-8 მუხლში პავლე ასკვნის: ♥ „ღმერ-თი კი იმით გვიჩვენებს თავის სიყვარულს ჩვენდამი, რომ ჯერ კიდევ ცოდვილნი ვიყავით, როცა ქრისტე (მესია, ცხებული) მოკვდა ჩვენთვის.“

ო, ჩემო მეგობარო, ღმერთს ძალიან უყვარხარ! სულიწმიდა ღვთის სიყვარულის შენთვის გაცხადებას ცდილობს. გახსენი გული და მიიღე ღვთის სიყვარული.

მიგიღებს, სადაც არ უნდა იყო; არასოდეს უარგყოფს და მსჯავრს არ დაგადებს (იოან. 3:18).

ეფეს. 1:6-ში პავლე წერს, რომ ღმერთმა მისი საყვარელი ძის, უფალ იესო ქრისტეს მეშვეობით მიგვიღო. ჩვენი მიღება დამოკიდებული არ არის ჩვენს სურვილზე ვიყოთ სრულყოფილები. მხოლოდ ქრისტეში შეგვიძლია გავხდეთ ღვთის წინაშე საკმარისად მართლები.

♥ ეფეს. 1:7-ში ბიბლია ამბობს, რომ „მასში გვაქვს გამოსყიდვა მისი სისხლით, ცოდვების მიტევება მისივე მადლის სიმდიდრით, რომელიც უხვად მოგვცა ყოველგვარი სიბრძნითა და გონიერებით."

ასევე, ეს. 54:10 გვეუბნება: ♥ „რადგან მთები დაიძვრებიან და ბორცვები შეირყევიან, ჩემი წყალობა კი არ დაიძვრება და ჩემი მშვიდობის აღთქმა არ შეირყევა შენგან, ამბობს უფალი, შენი შემბრალე."

1 კორ. 1:9-ში პავლე გვახსენებს, რომ ♥ „ერთგულია (სანდოა, აღთქმის შემსრულებელია) ღმერთი..." იგი შეგვპირდა, რომ არასოდეს მიგვატოვებს, რადგან გვწამს იესო ქრისტე; შეგვპირდა, რომ ვეყვარებით და თავის აღთქმებს შეასრულებს."

იოან. 17:9,10-ში იესომ ამბობს, რომ თქვენთვის ლოცულობს, რადგან მას ეკუთვნით. ღმერთმა მისცა მას თქვენი თავი და თქვენში დიდდება.

ღმერთს უყვარხართ! მიიღეთ ეს სიყვარული!

მეფსალმუნე დავითთან ერთად აღიარეთ:

♥ „აკურთხე (მგზნებარებით, მადლიერებით ადიდე), სულო ჩემო, უფალი და მთელო შიგნეულობავ [შინაგანი სიღრმით] ჩემო – მისი წმიდა სახელი!

აკურთხე (მგზნებარებით, მადლიერებით ადიდე), სულო ჩემო, უფალი და არ დაივიწყო მთელი მისი სიკეთე;
ის არის შემნდობი ყველა შენი ბრალისა, მკურნალი ყველა შენი სნეულებისა.“

ფს. 103:1-4

დავითი უფალს შემდეგ მუხლებში (5,6,8,11-13,17) ასე ახასიათებს:

❤ „სიკეთით აღმვსები შენი სიცოცხლისა, არწივივით განმაახლებელი შენი სიჭაბუკისა. სიმართლეს და სამართალს იქმს უფალი ყველა ჩაგრულისთვის...

შემბრალე და გულმოწყალეა უფალი, რისხვაში ნელი და სიკეთით სავსე. ვინაიდან როგორც ცაა დედამიწაზე მაღლა, ასევე აღმატებულია მისი სიკეთე მის მოშიშთა მიმართ. როგორც აღმოსავლეთია დაშორებული დასავლეთისგან, ისე განგვაშორა მან ჩვენი დანაშაული. როგორც მამას ებრალება შვილები, ისე ებრალება უფალს თავისი მოშიშები... უფლის წყალობა კი უკუნისამდეა მის მოშიშთა მიმართ...“

დავითი კვლავ გვეუბნება ფს. 32:10-ში: ❤ „...მრავალი სატკივარი აქვს ბოროტს, უფალზე მინდობილი კი წყალობით არის გარემოცული“. ფს. 34:1-8-ში იგი წერს:

❤ „განვადიდებ უფალს ყოველჟამს, გამუდმებით იქნება მისი ქება ჩემს ბაგეებზე. უფლით იქადის ჩემი სული; ისმინონ თავმდაბლებმა და

გაიხარონ. ადიდეთ უფალი ჩემთან ერთად; ერთად ავამაღლოთ მისი სახელი. ვეძებდი უფალს და მიპასუხა, დამიხსნა ყველა ჩემი შიშისგან. უმზირეთ მას და გაბრწყინდით, არასოდეს შერცხვება თქვენი სახეები. აგერ ღარიბმა მოუხმო და მოისმინა უფალმა, დაიხსნა ყველა მისი გასაჭირისგან. დაიბანაკებს უფლის ანგელოზი მის მოშიშთა ირგვლივ და იხსნის მათ. იგემეთ და ნახეთ, რომ კარგია უფალი; ბედნიერია კაცი, ვინც მას აფარებს თავს.“

პეტრე გვეუბნება, რომ სიყვარული მრავალ ცოდვას ფარავს (1 პეტრ. 4:8). ღვთის სიყვარული გიფარავთ. იცხოვრეთ ამ საფარველის ქვეშ! დაე, ამან მოგიტანოთ კურთხევა ცხოვრებაში. ხშირად აღიარეთ დღის განმავლობაში: „ღმერთს ვუყვარვარ!“

იფიქრეთ წმ. წერილის იმ მუხლებზე, რომლებიც ამ თავშია წარმოდგენილი. ეს დაგეხმარებათ დარწმუნდეთ მის უცვლელ სიყვარულში.

თავი 2

თქვენს მომავალში დარწმუნება

ახლა მინდა გაგიზიაროთ რამდენიმე ადგილი იმ დიდებული მომავლის შესახებ, რომელიც ღმერთმა თქვენთვის განიზრახა. მინდა იცოდეთ, რომ ღვთისთვის ძვირფასი ხართ და ღმერთს განსაკუთრებული მიზანი ჰქონდა თქვენი შექმნისას.

არის ასეთი სიმღერა – „ჩემი ხვედრი (I have a Destiny)“, სადაც ავტორი ამბობს, რომ მას აქვს დანიშნულება, რომელსაც აღასრულებს, რადგან ღვთისგან წინასწარ იყო განსაზღვრული. ღმერთმა ამოირჩია ის და ძალმოსილებით შრომობდა მისი მეშვეობით თავისი სულის ძალით. სიმღერა ამაღელვებელი აღიარებით სრულდება, „მე მაქვს ჩემი ხვედრი და ეს არ არის ფუჭი სურვილი, რადგან ამ დროისთვის, ამ დროისთვის, ამ ჟამისთვის დავიბადე“[2]

რას იტყვით საკუთარ თავზე? როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი მომავალი? ღმერთს სურს, რომ იმედით იყოთ სავსე, ხოლო ეშმაკს სასოწარკვეთილ მდგომარეობაში თქვენი ხილვა ახარებს. ღმერთს სურს, რომ ყოველდღიურად კარგის მოლოდინი გქონდეთ

2. © 1993 People of Destiny (Admin, By Word Music) All Rights Reserved. Used by permission.

თქვენს ცხოვრებაში. სატანასაც კი უნდა, რომ მუდმივად უბედურების მოლოდინით იცხოვროთ.

იგ. 15:15-ის ავტორი ამბობს: ♥ *„ავია ჩაგრულის ყოველი დღე [მღელვარებისა და ცუდი წინათგრძნობის გამო], მხიარულ გულს კი მუდამ ლხინი აქვს [გარემოებების მიუხედავად].“*

ცუდი წინათგრძნობა გახლავთ უბედურების მოლოდინი. წმ. წერილი ნათლად გვეუბნება, რომ ამგვარი შფოთვის მეშვეობით ჩვენი დღეები მწუხარებით სრულდება.

ფს. 27:13-ში დავითი წერს: ♥ *„თუმცა მწამს, რომ ვიხილავ უფლის სიკეთეს ცოცხალთა ქვეყანაში!“* მომდევნო მუხლში იგი შეგვაგონებს: *„მიენდე უფალს, გამხნევდი და გაიმაგრე გული! მიენდე უფალს!“*

იერ. 29:11-ში უფალი თავის ზრახვებს გვიცხადებს: ♥ *„ვინაიდან მე ვიცი ზრახვანი, რაც თქვენზე განვიზრახე, ამბობს უფალი, სასიკეთო და არა საბოროტო ზრახვანი, რომ მომავალი და იმედი მოგცეთ.“*

გახსოვდეთ, ეშმაკს გაახარებს თქვენი სასოწარკვეთილება! მას სურს, უიმედოდ გამოიყურებოდეთ, უიმედოდ ფიქრობდეთ, უიმედოდ ლაპარაკობდეთ და უიმედოდ იქცეოდეთ.

მოუსმინეთ, რა ძლიერად წერს დავითი ფს. 42:11-ში: ♥ *„რას დაღვრემილხარ, თავო ჩემო, და რას დამკვნესი? ღმერთს მიენდე, რადგან კვლავაც ვადიდებ მას, ჩემს მხსნელსა და ჩემს ღმერთს.“*

თქვენს გულში ჩამარხული ამგვარი მუხლები დაგეხმარებათ, იმედით აივსოთ და სასიხარულო მოლოდინში იცხოვროთ. თქვენ იმედიანი გამომეტყველება გექნებათ, იმედიანად იფიქრებთ, იმედიანად ილაპარაკებთ და იმოქმედებთ.

რომ. 5:5-ში პავლე მოციქული გვეუბნება, რომ ასეთი ❤ *„იმედი არ არის შემარცხვენელი, ვინაიდან ღვთის სიყვარული ჩაგვეღვარა გულებში, სულიწმიდის მიერ, რომელიც მოგვეცა ჩვენ.“*

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ვიცით, რომ ღმერთს ვუყვარვართ, რადგან სულიწმიდა ასე გვასწავლის. ღვთის იმედი გვაქვს იმ ცოდნაზე დაყრდნობით, რომ მას ვუყვარვართ და ჩვენთვის დიდებული მომავალი განსაზღვრა. მასზე დაიმედებულები და მის მოლოდინში მყოფები არასოდეს ვრჩებით იმედგაცრუებული, შეცდომაში შეყვანილი ან შერცხვენილი.

ფს. 84:11-ში ვკითხულობთ: ❤ *„რადგან მზე და ფარია უფალი ღმერთი. მადლსა და ღირსებას იძლევა იგი, არანაირ სიკეთეს არ დაუკავებს უბიწოდ მოარულთ.“*

ფილ. 1:6-ში პავლე გვარწმუნებს: ❤ *„და დარწმუნებული ვარ, რომ ის, ვინც დაიწყო თქვენში კეთილი საქმე, დაასრულებს კიდეც [იმ კარგ საქმეს; სრულყოფს] იესო ქრისტეს დღემდე [მის დაბრუნებამდე].“*

ეფეს. 2:10-ში პავლე განმარტავს მისი დიდი გულდაჯერების მიზეზს:

> ❤ *„ვინაიდან მისი ქმნილებანი ვართ, ქრისტე იესოში [ხელახლა] შექმნილნი, კეთილი საქმეებისთვის, რომლებიც წინასწარ გაგვიმზადა ღმერთმა, რათა ამ საქმეებში [კარგი ცხოვრებით ვიცხოვროთ] ვიაროთ.“*

შეიძლება საკუთარ თავს ეკითხებით: „თუ ღმერთს ასეთი კარგი გეგმა აქვს ჩემთვის, როდის უნდა ვიხილო იგი?”

პასუხი მოცემულია ეკლ. 3:17-ში: ♥ *„...ყველა მოვლენას და ყველა საქმეს თავისი ჟამი აქვს.“*

ღმერთი თავის გეგმას და თქვენთვის განსაზღვრულ მიზანს საჭირო დროს გაამჟღავნებს. თქვენ მხოლოდ ერთი რამ გევალებათ, როგორც პეტრე გვირჩევს – თავი დავიმდაბლოთ ღვთის ძლიერი ხელის ქვეშ და იგი აგვამაღლებს თავის დროზე (1 პეტრ. 5:6).

აბაკ. 2:2-ში უფალმა თავის წინასწარმეტყველს მისი სამომავლო გეგმის ხედვა მისცა და უბრძანა, რომ ყველაფერი ჩაეწერა სხვებისთვის წასაკითხად. მომდევნო მუხლში იგი ამბობს: ♥ *„რადგან დადგენილ ჟამს ეხება ხილვა, დასასრულს აცხადებს და არ გაცუდდება. თუ დააყოვნებს, დაელოდე, ვინაიდან უცილობლად მოვა, არ დააგვიანებს“* (აბაკ. 2:3).

ებრ. 6:18,19-ში ავტორი გვეუბნება, რომ ეს ყველაფერი დაიწერა, რათა ♥ *„...მტკიცე ნუგეშისცემა გვქონდეს ჩვენ, ვინც შევეფარეთ, რათა ჩავჭიდებოდით ჩვენ წინ მდებარე იმედს, რომელიც ჩვენთვის სანდო და მტკიცე ღუზასავითაა და შედის ფარდის მიღმა.“*

ხოლო პავლე ამბობს: ♥ *„...ჩვენ კი ვიცით, რომ ღვთის მოყვარულებს, მისი განზრახვით მოწოდებულებს, ყოველივე სასიკეთოდ ეწევა.“* (რომ. 8:28). მოგვიანებით, ეფესოს ეკლესიისადმი მიწერილ წერილში პავლე გვახსენებს, რომ გარკვეული მიზანი გვაქვს: ♥ *„ხოლო მას, ...ჩვენში მოქმედი მოქმედი ძალით შეუძლია განუზომლად მეტის კეთება, ვიდრე ჩვენ ვთხოვთ [თხოვნას ვბედავთ] ან ვფიქრობთ [რაც განუსაზღვრელად აღემატება ჩვენს ყველაზე გაბედულ ლოცვებს, სურვილებს, ფიქრებს, იმედებსა და ოცნებებს]“* (ეფეს. 3:20).

ღმერთს სურს, რომ იმედიანად იყოთ, რადგან ის მზად არის გაცილებით მეტის გასაკეთებლად, ვიდრე

თქვენ იმედოვნებთ. მაგრამ თუ იმედი დაკარგეთ – რა მდგომარეობაშიც ეშმაკს სურს თქვენი ხილვა – ვერ შეძლებთ ღვთის მიერ მოცემული დავალების შესრულებას: გვქონდეს მისი იმედი; გწამდეს, რომ მან განსაზღვრა გეგმა თქვენი ცხოვრებისთვის, რომლის აღსრულებაც ძალიან ახლოსაა. ეფეს. 1:11-ში პავლე უფალ იესო ქრისტეზე ამბობს: ♥ *„მასში მივიღეთ მემკვიდრეობა [წილი], რისთვისაც წინასწარვე ვიყავით განწესებულნი [არჩეულნი] მისი განზრახვის თანახმად, ვინც ყოველივეს თავისი ნება-სურვილით იქმს.“*

გახსოვდეთ ღვთის მითითება მისი მსახურის მიმართ ი.ნ. 1:8-ში: ♥ *„და ნუ განშორდება რჯულის ეს წიგნი შენს ბაგეთ – დღე და ღამე მასზე იფიქრე, რომ იფხიზლო ყოველივე მასში ჩაწერილის აღსასრულებლად, რადგან მაშინ მიაღწევ წარმატებას და სიკეთეს შენს გზებზე.“*

ასევე, გაიხსენეთ 2 რჯ. 30:14, რომელიც ამბობს: ♥ *„რადგან ძალიან ახლოა ეს სიტყვა შენთან; შენს ბაგეზეა იგი და შენს გულში, რათა ასრულებდე მას.“*

ეს. 55:11-ში უფალი გვაჩვენებს, თუ როგორ ეხმარება ჩვენ მიერ ღვთის სიტყვის აღიარება მისი მიზნების შესრულებას ჩვენს ცხოვრებაში: ♥ *„ასე იქნება ჩემი სიტყვა, რომელიც გამოდის ჩემი ბაგიდან – ფუჭად არ დამიბრუნდება იგი, რადგან იმას მოიმოქმედებს, რაც მსურს და მიაღწევს იმას, რისთვისაც გავგზავნე.“*

დაუთმეთ თქვენი ბაგეები ღმერთს! დაე, ისინი ღვთის ბაგეებად იქცნენ! დაიწყეთ მისი სიტყვის გახმიანება, რადგან მას კარგი მომავალი, კარგი მიზანი და კარგი გეგმა აქვს თქვენთვის. ილაპარაკეთ ის, რაც ღვთის თვალსაზრისს ეთანხმება და არა მტრისას.

გახსოვდეთ, რომ ყოველ ჩვენგანს ღმერთმა თავისი ხვედრი არგუნა.

რას ფიქრობთ, როგორი იქნება თქვენი მომავალი? ეშმაკს სურს, დაგაჯეროთ, რომ თქვენი მომავალი დღითიდღე გაუარესდება გაუმჯობესების ნაცვლად. მას სურს იფიქროთ იმაზე, რამდენი რამის გაკეთება გმართებთ, და არა იმაზე, თუ რამდენი რამ გააკეთეთ უკვე.

იმედგაცრუებული ხართ საკუთარი თავით? ისეთი განცდა გაქვთ, რომ არასოდეს შეიცვლებით? გულს ნუ გაიტეხთ! ღმერთი გამუდმებით გცვლით. მისი სიტყვა ძლიერად შრომობს თქვენში.

2 რჯ. 7:22 გვახსენებს, რომ იგი გვეხმარება ჩვენი მტრების თანადათანობით დაძლევაში.

2 კორ. 3:18-ში პავლე ამბობს, რომ უფლის ხილვისას მის სიტყვაში, თანდათან გარდავიქმნებით მის ხატებად ♥ *„დიდებიდან დიდებაში.“*

გარდა ამისა, რომ. 12:2-ში ვკითხულობთ, რომ გარდავიქმნებით გონების სრული განახლებით და ამ ახალი აზრებით, ნიმუშებითა და დამოკიდებულებებით ვაცნობიერებთ ♥ *„რა არის ღვთის ნება – კეთილი, სასურველი და სრულყოფილი [თქვენთვის, მისი თვალსაზრისით].“*

კოლ. 1:27-ში პავლე აცხადებს, რომ საუკუნეებისა და თაობებისგან დაფარულ საიდუმლოს წარმოადგენს „ქრისტე ჩვენში, დიდების იმედი.“ თქვენი ზეციერი მამა უკვე განდიდებულს გხედავთ, ამიტომაც გამოგზავნა მან სულიწმიდა თქვენში დასამკვიდრებლად, რათა დარწმუნებულიყავით, რომ ყველაფერი მისი ნებისამებრ აღსრულდება.

სიტყვას „დიდება“ მე განვმარტავ, როგორც ღვთის ყველაზე საუკეთესო თვისებას. იქონიეთ უფლის იმედი და გწამდეთ, რომ წმ. წერილის ყველა ეს ადგილი თქვენზე ლაპარაკობს.

ისწავლეთ მხოლოდ დადებითი, რწმენით სავსე და ღვთის სიტყვაზე დაფუძნებული სიტყვების წარმოთქმა! ხმამაღლა განაცხადეთ: „გარდავიქმნები ღვთის სახებად დიდებიდან დიდებაში.“ (2 კორ. 3:18). „ჩემში მყოფი ქრისტეა ჩემი იმედი, რომ უფრო დიდებული გავხდები. ღვთის სული ყოველდღიურად, ნაბიჯ-ნაბიჯ მცვლის. ჩემს ცხოვრებას აზრი აქვს. ღმერთს კარგი გეგმა აქვს ჩემთვის გათვალისწინებული.“

გახსოვდეთ, რომ. 4:17-ის თანახმად, ჩვენ ისეთ ღმერთს ვემსახურებით, რომელიც ჯერ არარსებულ საგნებს უკვე არსებულს უწოდებს.

რას ამბობს ღმერთი ჩვენს შესახებ თავის სიტყვაში?

> ❤ ...თქვენ კი რჩეული მოდგმა ხართ, სამეფო სამღვდელოება, წმიდა ერი, წილხვედრი ხალხი, რათა გამოაცხადოთ მისი სათნოება, ვინც სიბნელიდან თავისი საკვირველი სინათლისკენ გამოგიხმოთ.
>
> 1 პეტრ. 2:9

ღმერთს სურს, რომ გააცხადოს, გამოავლინოს, სააშკარაოზე გამოიტანოს ის დიდებული საქმეები, სათნოებები და სრულყოფილება, რომელიც თქვენთვის დაგეგმა.

ისწავლეთ ამის ხშირად წარმოთქმა: „მოწოდებული ვარ სიბნელიდან ღვთის საკვირველი ნათლისკენ.“

საკუთარ თავზე დაბალი თვითშეფასება სიბნელეა. საკუთარი თავის არმოწონება სიბნელეა. ფიქრი, რომ არავითარი ფასი ან ღირსება არ გაგაჩნიათ, სიბნელეა.

მალ. 3:17-ში ვკითხულობთ, რომ უფლის სამკაულები ვართ, მისი განსაკუთრებული ქონება, უნიკალური საგანძური. დიახ, თქვენ ფასეული ხართ და დანიშნულება გაგაჩნიათ. თქვენი ხვედრი განსაზღვრულია. ღმერთს

დიდებული გეგმა აქვს თქვენი ცხოვრებისთვის. თქვენ განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულოთ კაცობრიობის ისტორიაში, მაგრამ ჯერ უნდა დაიჯეროთ ეს.

ალბათ მეტყვით: „ჯოის, მე იმდენჯერ დავმარცხდი, ბევრჯერ შევცდი. ვიცი, რომ ღმერთს დიდიხანია იმედი გავუცრუე.“

ფილ. 3:13,14-ში პავლემ აღნიშნა, რომ სრულყოფილებისთვის არ მიუღწევია, მაგრამ არც დანებებას აპირებდა:

> ❤ ძმებო, არ მიმაჩნია, რომ უკვე მივაღწიე [და ჩემად ვაქციე], არამედ ერთს ვაკეთებ [ეს არის ჩემი ძლიერი სურვილი] – ვივიწყებ, რაც უკან დარჩა და იმას ველტვი, რაც ჩემს წინაა. ვილტვი მიზნისკენ, ღვთის უზენაესი მოწოდების ჯილდოსკენ ქრისტე იესოში.

ღმერთს კარგი გეგმა აქვს თქვენი ცხოვრებისთვის. ნუ იცხოვრებთ წარსულით! მოისმინეთ უფლის სიტყვა, როგორც დაწერილია ეს. 43:18,19-ში:

> ❤ ნუ გაიხსენებთ წარსულს, გასულ დღეებზე ნუ იფიქრებთ. აჰა, მე ვქმნი ახალს, ახლა აღმოცენდება, განა ვერ შეიტყობთ ამას? უდაბნოში გზას გავიყვან, ხრიოკზე მდინარეებს ვადენ.

და ბოლოს, მოუსმინეთ, რას გეუბნებათ ღმერთი ეს. 43:25-ში: ❤ *„მე, მე ვარ ის, ვინც დანაშაულს ჩამოგბანს ჩემივე გულისთვის და შენს ცოდვებს არ გავიხსენებ.“*

ღმერთს ძალიან უნდა გახდეთ ყველაფრით შემკული პიროვნება, როგორიც თავის განზრახვაში დაგინახათ. მას სურს ხედავდეს, როგორ ხარობთ ცხოვრების

სისავსით, რომელიც თქვენთვის განიზრახა. მას სურს, მადლითა და წყალობით მოგაცილოთ წარსულში ჩადენილი შეცდომები. იგი იმ შეცდომებისთვისაც მზად არის, რომლებიც შესაძლოა მომავალში ჩაიდინოთ.

არც წარსულის გამუდმებული მონანიებით და არც მომავლის შიშით არ უნდა იცხოვროთ. ღმერთს თქვენი დახმარება სურს ყველა სფეროში, სადაც დაგჭირდებათ.

ეს. 40:31 გვპირდება, რომ ❤ *„...უფლის მომლოდინენი [მასზე დაიმედებულები] კი ძალას განიახლებენ, არწივივით გაშლიან ფრთებს [ღმერთთან სიახლოვისთვის], გაიქცევიან და არ დაიღლებიან, ივლიან და არ დაიქანცებიან.“*

რა საოცრად გვარწმუნებს ეს სიტყვები ღვთის სიყვარულსა და მის მიერ ჩვენი ყოველი საჭიროების სასწაულებრივ გათვალისწინებაში, რომელიც კი შეიძლება მომავალში დადგეს ჩვენს წინაშე.

მისი დიდებული აღთქმებით და გეგმებით შეიარაღებულები, მომავალს იმედით და თავდაჯერებით ვხვდებით, რადგან დარწმუნებული ვართ, რომ მას დაპირებულის შესრულება შეუძლია (რომ. 4:21).

უკან არ მოიხედოთ, წინ გაიხედეთ! რწმენის ნაბიჯი გადადგით! გახსოვდეთ, რომ ღვთაებრივი დანიშნულება გაქვთ აღსასრულებელი!

თავი 3

ქრისტეში თქვენი გამართლების გაცნობიერება

ახლა მინდა რამდენიმე მონაკვეთი გაგიზიაროთ გამართლების შესახებ.

სიმღერა „ღვთის სამართლიანობა გავხდი“, ღვთის ოჯახში ჩვენს მიღებასა და მისი ტახტის წინაშე დგომაზე ლაპარაკობს – უკვე სამეფო ოჯახის წევრები ვართ, იესოში გასრულებული და მისი თანამემკვიდრეები, უცოდველები, მისი ძვირფასი სისხლით გამოსყიდულები.[3]

თქვენ ხართ ღვთის სამართლიანობა ქრისტეში, როგორც პავლე წერს 2 კორ. 5:21-ში: ♥ *„ვინც ცოდვა არ იცოდა, ის გახადა ცოდვად ჩვენ გამო, რათა ჩვენ გავხდეთ ღმერთის სიმართლე მასში [რაც უნდა ვიყოთ, მოწონებული, მიღებული და ღმერთთან სწორ მდგომარეობაში მყოფი მისი სათნოებით].“*

ფს. 48:10 უფალზე ამბობს: ♥ *„როგორც შენი სახელი, შენი ქებაც დედამიწის კიდით-კიდემდეა ღმერთო; სიმართლით [და სამართალი] სავსეა შენი მარჯვენა.“*

---

3. სიტყვები და მუსიკა ეკუთვნის ქრის სელმეიერს © 1992 by Life In The Word, Inc.

ღვთის სიმართლით სავსე ხელი თქვენკენ არის გამოწვდილი.

1 კორ. 1:8-ში პავლე მოციქული გარწმუნებთ: ❤ *„ვინც ბოლომდე განგამტკიცებთ [გაძლიერებთ და გამართლების გარანტიას გაძლევთ ყველა ბრალდების ან განაჩენის წინააღმდეგ], რათა უმწიკვლონი იყოთ ჩვენი უფლის იესო ქრისტეს [მესიის] დღეს.“*

იცით, რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს, რომ ღმერთი ახლა მის წინაშე სწორად მდგომს გხედავთ. დღეს იქ ხართ, სადაც მას უნდა, რომ იყოთ. იგი მზად არის, რომ დაგიცვათ სატანის, ძმათა ბრალმდებლის ტყუილებისგან. (გამოცხ. 12:10)

თუ იესო ქრისტეს იმედი გაქვთ, ღმერთი არ გიყურებთ როგორც მსჯავრდებულს. მას თქვენი უდანაშაულობის დამტკიცება სურს.

იესომ მთაზე ქადაგებისას თავის მიმდევრებს უთხრა: ❤ *„ნეტარ არიან (ამ პოზიციაზე ღვთის ხელახლა შობილი შვილი მისი კეთილგანწყობით და ხსნით ხარობს) სიმართლეს მოშიებულ-მოწყურებულნი (სიწრფელე და სწორად დგომა ღვთის წინაშე), რადგან ისინი გაძღებიან.“* (მათ. 5:6)

იესოს სიტყვების თანახმად, თქვენ, როგორც ღვთის ხელახლა შობილი შვილი ცხოვრობთ და ხარობთ ღვთის კეთილგანწყობის ქვეშ. თქვენ სიცოცხლით ტკბობის უფლება გაქვთ. ეს ღვთისგან ბოძებული უსასყიდლო საჩუქარია.

დაიწყეთ ამ წინადადების აღიარება: „მე ვარ ღვთის სიმართლე იესო ქრისტეში“.

შესაძლოა, თქვენ არასრული ტვირთის პასუხისმგებლობა აიღეთ საკუთარ თავზე – ცდილობთ საკუთარი ძალებით გახდეთ მართალი ღვთის თვალში. ეს არ არის ის გზა, საიდანაც გამართლება მოდის. სიმართლე

ხსნის მსგავსად უსასყიდლოდ მოგვეცა და არა დამსახურებით; ეს ნიჭია. შეჩერდით და ისწავლეთ ღმერთზე მინდობა, რომ წილი გქონდეთ იესოს სიმართლეში.

❤ *„მიანდე უფალს შენი საზრუნავი [განთავისუფლდი ტვირთისგან] და ის განგამტკიცებს, არასოდეს დაუშვებს მართლის წაბორძიკებას [დაცურებას, მარცხს].“* (ფს. 55:22)

რომ. 4:1-3-ში პავლე აბრაჰამის სიმართლეზე ლაპარაკობს:

❤ *„რა ვთქვათ, აბრაჰამმა, ჩვენმა მამამ ხორციელად მოიპოვა რაიმე? [რა შედეგი მოიტანა ამ მდგომარეობამ და რა სარგებელი ნახა მან?]*
თუ საქმეებით გამართლდა აბრაჰამი, აქვს დასაკვეხნი, ოღონდ არა ღვთის წინაშე. ვინაიდან, რას ამბობს წერილი? „ერწმუნა [მიენდო] აბრაჰამი ღმერთს და ეს ჩაეთვალა მას სიმართლედ.“

შემდეგ, 23-ე და 24-ე მუხლებში პავლე განაგრძობს:

❤ „და არა მარტო მისთვის არის დაწერილი, რომ ჩაეთვალა მას, არამედ ჩვენთვისაც; ჩაგვეთვლება [ღვთისთვის მისაღები ვიქნებით] ჩვენც, იმის [ღვთის] მორწმუნეებს, ვინც მკვდრეთით აღადგინა ჩვენი უფალი იესო.“

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პავლე გვეუბნება, რომ გამართლება მივიღეთ არა საქმეების კეთებით, არამედ რწმენით.

როცა გვწამს იესო ქრისტე, ღმერთი გამართლებულად გვთვლის. პირდაპირი მნიშვნელობით, იგი იღებს გადაწყვეტილებას, რომ იესო ქრისტეს სისხლი

საკმარისია, რათა ჩვენ გამართლებულად ჩაგვთვალოს. იგი უზენაესი ღმერთია და აქვს მისთვის სასურველი გადაწყვეტილების მიღების უფლება.

მომდევნო თავის პირველ მუხლში პავლე თავის თვალთახედვას დასკვნის სახით გადმოგვცემს: ♥ *„მაშასადამე, რაკი რწმენით გავმართლდით (უდანაშაულოდ გვაღიარეს, სიმართლე მოგვანიჭეს და ღვთის წინაშე დგომის უფლება მოგვცეს), მშვიდობა გვაქვს [შერიგების მშვიდობა და სიხარული] ღმერთთან ჩვენი უფლის იესო ქრისტეს [მესიის, ცხებულის] მეშვეობით.“* (რომ. 5:1)

სიმართლე ჩვენი უძლური საქმეებით არ მოდის; იგი იესოს მიერ აღსრულებული საქმეების შედეგია.

ფს. 37:25-ში დავითი წერს: ♥ *„ყმაწვილი ვიყავი, კიდეც მოვხუცდი და არ მინახავს მართალი კაცი მიტოვებული და მისი შთამომავლობა პურზე ხელგაწვდილი.“*

დარწმუნებული ვარ, რომ მშობლების ღვთის წინაშე სწორად დგომის შემთხვევაში, შვილებიც მიიღებენ ამ სიმართლეს.

დანაშაულის, მსჯავრდებისა და უღირსობის გრძნობით სავსე მშობლების მიერ აღზრდილი შვილები ამ გრძნობებს მშობლებისგან იღებენ ხოლმე.

ასევე, თუ მშობლები აცნობიერებენ და სწამთ, რომ ღმერთს ისინი უყვარს და მისთვის განსაკუთრებულები არიან და, რომ ღმერთს მათი ცხოვრებისთვის კარგი გეგმა აქვს და ისინი გამართლებულები არიან იესოს სისხლით, შვილები ამ ჭეშმარიტების საფარქვეშ და მშობლების რწმენის გავლენით იზრდებიან და თავადაც მიიღებენ იესოს და ყველა მის აღთქმას.

იგ. 20:7 გვეუბნება, რომ ♥ „მართალი თავის უბინწობით დადის, ნეტარნი (ბედნიერნი, იღბლიანნი, შესაშურნი) არიან მისი ძენი მის შემდეგ.“

ასევე, ფს. 37:39-ში ვკითხულობთ: ♥ *„მართალთა შველა კი უფლისგანაა, ის არის მათი თავშესაფარი გაჭირვების ჟამს.“*

უფალი თქვენს მხარეზეა. მისი სიტყვა ჭეშმარიტია და იგი მშვიდობას, სიმართლეს, დაცვას და წინააღმდეგობაზე გამარჯვებას ემსახურება.

ისწავლეთ უფლის ამ აღთქმის აღიარება, რომელიც ეს. 54:17-ში ჩანს: ♥ *„შენს წინააღმდეგ გამოჭედილი ყოველი იარაღი გაცუდდება და ყოველ ენას, რომელიც ბრალს დაგდებს სამსჯავროზე, შენ დასდებ მსჯავრს. ეს [მშვიდობა, სიმართლე, დაცვა, გამარჯვება] არის უფლის მსახურთა [ვისშიც გამოისახა ღვთის იდეალური მსახურის სახე] ხვედრი და მათი გამართლება ჩემგან არის! – ამბობს უფალი.“*

ფს. 34:15-ში დავითი გვეუბნება:

♥ „უფლის თვალები მართლებისკენაა მიპყრობილი და მისი ყურები – მათი ღაღადისკენ.“

ეს პირდაპირ ნიშნავს, რომ ღმერთი დაგყურებთ და გისმენთ, რადგან უყვარხართ.
შემდეგ მე-17, მე-19 და 22-ე მუხლებში დავითი ასე აგრძელებს:

♥ „მოუხმობენ მართალნი და ისმენს უფალი – ყველა გასაჭირისგან იხსნის მათ...

მრავალი სიავე ხვდება მართალს და ყველაფრისგან იხსნის უფალი...

ცოდვილს ბოროტება მოკლავს, მსჯავრს დაიტეხენ მართლის მოძულენი.“

იესოს მხსნელად მიღების დროიდან მასთან ერთად იზრდებით. შეიძლება ითქვას, რომ მოგზაურობაში ხართ. გზაზე შეცდომების დაშვების ალბათობაც არსებობს. შესაძლოა, თქვენი საქციელი სრულყოფილი არ იყოს, მაგრამ თუ გული წრფელი და სრულია უფლის წინაშე, დარწმუნებული ვარ, რომ სრულყოფილად ჩაგთვლით მოგზაურობის მთელი დროის განმავლობაში.

ეს. 54:14-ში უფალი აცხადებს: ❤ „სიმართლეში დაფუძნდები, შორს იქნები ჩაგვრისგან, რადგან არ შეგეშინდება; შორს იქნები ძრწოლისგან, რადგან არ მოგიახლოვდება.“

იგ. 28:1 ამბობს, რომ [უკომპრომისო] მართალი კაცი ლომივით გაბედულია. როცა დარწმუნებული ხართ, რომ ქრისტეს მეშვეობით გამართლდით, როცა ამ სფეროში ნამდვილი გამოცხადება გაქვთ, შიშსა და ძრწოლაში აღარ იქნებით, რადგან სიმართლე გაბედულებას წარმოშობს:

> ❤ „ვინაიდან ისეთი მღვდელმთავარი როდი გვყავს, რომ ვერ შეძლოს თანაგრძნობა ჩვენს უძლურებაში, ის ჩვენსავით გამოცდილია ყველაფერში, გარდა ცოდვისა.
> ამიტომ, გაბედულად მივეახლოთ მადლის ტახტს, რომ მივიღოთ წყალობა და ვპოვოთ მადლი დროული შემწეობისათვის.“
>
> ებრ. 4:15,16

შეგვიძლია, გაბედულად მივუახლოვდეთ ღვთის ტახტს, არა ჩვენი სრულყოფილების გამო, არამედ ღვთის სისრულის გამო: ❤ *„მით უმეტეს ახლა, როცა გავმართლდით (უდანაშაულოდ გვცნეს და სწორ*

მდგომარეობაში დავდექით ღვთის წინაშე) მისი სისხლით, მისით გადავრჩებით რისხვისაგან.“ (რომ. 5:9).

შესაძლოა, მთელი ცხოვრების განმავლობაში ხეტიალობდით და ცდილობდით გაგეგოთ: „რა არის არასწორი ჩემს ცხოვრებაში?“

თუ ასეა, კარგ ამბავს გაუწყებთ: **თქვენ გამართლებული ხართ!**

ახლა რაღაც **სწორია** თქვენს ცხოვრებაში.

ადამიანებს ამის ხშირად აღიარებას ვთხოვ: „შესაძლოა, იქ არ ვარ, სადაც უნდა ვიყო, მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ იქ არ ვარ, სადაც ადრე ვიყავი. კარგად ვარ და ჩემს სავალ გზაზე ვდგავარ.“

გახსოვდეთ, რომ ცვლილება პროცესია და თქვენ მასში ხართ ჩართული. სანამ თქვენში ცვლილებები მიმდინარეობს, ღმერთი მართლად მიგიჩნევთ.

თქვენ მართალი ხართ. ეს ის მდგომარეობა გახლავთ, რომელიც ღმერთმა მოგანიჭათ იესო ქრისტეს სისხლის მეშვეობით.

თქვენს ცხოვრებაში მიმდინარე ცვლილებები სწორედ ამ სიმართლის პოზიციის გამოვლინება გახლავთ, რომელიც ღმერთმა რწმენით მოგცათ.

დიდება ღმერთს!

ეს შესანიშნავია!

როცა ღვთის სიყვარულსა და სიმართლეს იღებთ, თანდათან თავისუფლდებით დაუცველობის გრძნობისა და უარყოფის შიშისგან.

ახლა კი, შეჩერდით და განაცხადეთ: „მე ვარ ღვთის სიმართლე ქრისტეში.“ მოგიწოდებთ, რომ ამ ჭეშმარიტების აღიარება დაიწყოთ დღეში რამდენჯერმე.

რომ. 14:17-ში პავლე მოციქული გვეუბნება: ❤ *„ვინაიდან ღვთის სამეფო საჭმელ-სასმელი კი არ არის, არამედ სიმართლე, მშვიდობა და სიხარული სულიწმიდაში.” სიმართლეს მშვიდობისკენ მიყავხართ, ხოლო მშვიდობას – სიხარულისკენ.“*

თუ მშვიდობა და სიხარული გაკლიათ, ალბათ, სრულად არ გაგითავისებიათ თქვენი სიმართლის საკითხი. ღმერთს თქვენი კურთხევა სურს, ფიზიკურად და ფინანსურად.

და მაინც, დანაშაულის გრძნობით მცხოვრები ადამიანების უმეტესობა ვერასოდეს აღწევს ნამდვილ წარმატებას. ბიბლია ამბობს, რომ მართლები, რომლებმაც კარგად იციან თავიანთი მდგომარეობის შესახებ, ყვავიან და უსაფრთხოდ არიან.

იცით, რას ამბობს უფალი თქვენს შესახებ? ფს. 1:3-ში იგი ამბობს, რომ ადამიანი, რომელიც უფლის რჯულით და წესებით ხარობს, წყლის ნაპირას დარგულ ხეს ჰგავს და თავის დროზე გამოაქვს ნაყოფი. თქვენი ფოთოლი არ დაჭკნება და რაც არ უნდა გააკეთოთ, ყველაფერში აყვავებული და წარმატებული იქნებით.

იფიქრეთ უფლის წინაშე სწორად დგომაზე და არა იმ ყველაფერზე, რაც არასწორია თქვენს ცხოვრებაში.

როგორც ვნახეთ, ი.ნ. 1:8-ში: ♥ *„ნუ განშორდება რჯულის ეს წიგნი შენს ბაგეთ – დღე და ღამე მასზე იფიქრე, რომ იფხიზლო ყოველივე მასში ჩაწერილის აღსასრულებლად, რადგან მაშინ მიაღწევ წარმატებას და სიკეთეს შენს გზებზე.“*

გახსოვდეთ, რას ამბობს ფს. 1:2,3, რომ ღვთის სიტყვაზე დღითა და ღამით ფიქრის შემთხვევაში წყლის პირას მყარად დანერგილ ხეს ემსგავსებით, რომელიც ნაყოფს იძლევა და წარმატებული იქნებით ყველაფერში, რასაც გააკეთებთ.

იფიქრეთ ღვთის სიტყვაზე და ილაპარაკეთ ღვთის სიტყვა. როცა სატანა თქვენს გონებას უტევს, ღვთის სიტყვით შეეწინააღმდეგეთ. გახსოვდეთ, იესომ ეშმაკს სიტყვით სძლია: ♥ *„დაწერილია“* (ლუკ. 4:4,8,10).

იგ. 18:10 გვეუბნება: ♥ *„უფლის სახელი მყარი კოშკია; მასში შერბის მართალი და დაცულია.“*

ფს. 72:7 ამბობს, რომ მართალი ♥ *„გაიფურჩქნება და იქნება დიდი მშვიდობა, ვიდრე იარსებებს მთვარე.“* მიიღეთ თქვენი სიმართლე ღვთისგან, რომ დაიწყოს თქვენი აყვავება მშვიდობაში.

შესაძლოა, იფიქროთ, „რა მოვუხერხო ყველა იმ საშინელ შეცდომას, რომელიც დამიშვია?”

მინდა, შეგახსენოთ ღვთის მიერ მის ერზე ნათქვამი სიტყვები ებრ. 10:16-18-დან:

> ♥ „აჰა, აღთქმა, რომელსაც აღვუთქვამ ისრაელის სახლს იმ დღეების შემდეგ – ამბობს უფალი – დავწერ ჩემს რჯულს მათ გულებზე და ჩავდებ მათ გონებაში [შინაგან აზროვნებასა და გაგებაში], და აღარ გავუხსენებ მათ თავიანთ ცოდვებსა და ურჯულოებას.“

სადაც ცოდვების მიტევებაა, იქ საჭირო აღარ არის შესაწირი მათთვის.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თქვენი ცოდვები სრულიად წაშლილია შესაბამისი სასჯელის ჩათვლით. იესომ ისე სრულად და ამომწურავად შეასრულა თავისი საქმე, რომ გასაკეთებელი არაფერი დაგრჩათ თქვენს ცოდვებთან დაკავშირებით. ერთდაერთი, რითაც ღმერთს ასიამოვნებთ, მისი უსასყიდლო გამართლების რწმენით მიღებაა.

ებრ. 10:19,20 იესოზე ამბობს, რომ მან თავისი მსხვერპლშეწირვით გახსნა ♥ *„ახალი და ცოცხალი გზა”, რომლის მეშვეობითაც სრული თავისუფლებით*

და გაბედულებით შევდივართ მის თანდასწრებაში ❤ *„იესოს სისხლით.“*

საჭირო აღარ არის თქვენსა და ღმერთს შორის გამყოფი ფარდის არსებობა.

რა შესანიშნავი ამბავია!

გაბედულად მიდიხართ და მოზიარეობა გაქვთ ღმერთთან, რადგან თქვენი ცოდვა გაუქმებული, მოშორებული და დავიწყებულია.

გაიხარეთ! თქვენ ღვთის სიმართლე ხართ ქრისტეში! (2 კორ. 5:21)

თავი 4

შიშის გადალახვა თქვენს ცხოვრებაში

არსებობს გარკვეული შიშები თქვენს ცხოვრებაში? სიმღერაში, სახელწოდებით „ნუ გეშინია, ჩემო შვილო", უფალი სიცოცხლის სიტყვებს ამბობს:

„ნუ გეშინია, ჩემო შვილო,
ყოველთვის შენთან ვარ.
ყოველ ტკივილს ვგრძნობ
და შენს ცრემლებს ვხედავ.
ნუ გეშინია, ჩემო შვილო,
ყოველთვის შენთან ვარ.
ვიცი, როგორ ვიზრუნო მასზე,
ვინც ჩემია მთლიანად."[4]

2 ტიმ. 1:7-ში პავლე მოციქული თავის ახალგაზრდა მოწაფეს შეაგონებს, რომ არაფერს შეუშინდეს მსახურებისას: ♥ *„რადგან არ მოგვცა ჩვენ ღმერთმა სიმხდალის სული, არამედ ძალის, სიყვარულისა და თავშეკავების."*

4. © 1986 Some-O-Dat Music (Admin. by Word Music). All Rights Reserved. Used by permission.

გახსოვდეთ ეს მუხლი. დაიზეპირეთ და გაიმეორეთ ყოველთვის, როცა შფოთვისა და შიშის ცდუნება მოვა.

შიში ღვთისგან არ არის. სატანა ერთადერთია, ვისაც თქვენი გულის შიშით ავსება სურს. ღმერთს გეგმა აქვს თქვენი ცხოვრებისთვის. მიენდეთ უფალს და მიიღეთ ეს გეგმა! ისიც გახსოვდეთ, რომ სატანასაც გააჩნია გეგმა თქვენი ცხოვრებისთვის. მისი გეგმა შიშის დაშვებით მიიღება.

მეფსალმუნე დავითი წერდა: ❤ *„ვეძებდი უფალს და მიპასუხა, დამიხსნა ყველა ჩემი შიშისგან.“* (ფს. 34:4).

იესო თქვენი მხსნელია. თუ გულმოდგინედ ეძებთ მას, ყოველგვარი შიშისგან გიხსნით. იოან. 14:27-ში მან თავის დამფრთხალ მოწაფეებს უთხრა: ❤ *„... ნუ შეკრთება თქვენი გული და ნურც შეშინდება. [შეწყვიტეთ შფოთვა და თავს უფლებას ნუ მისცემთ, რომ დაშინებული, სულმოკლე და მერყევი იყოთ].“*

ეს ნიშნავს, რომ შიშის წინაშე გაბედული შეტევა უნდა განახორციელოთ. დღეს მიიღეთ გადაწყვეტილება, რომ შიშის სულს თქვენთან მოახლოების და გაბატონების უფლებას არასოდეს მისცემთ.

ფს. 56:3,4-ში დავითი უფალს ეუბნება:

> ❤ „როდესაც მეშინია, შენზე ვდებ იმედს. ღმერთზე, რომლის სიტყვასაც ვაქებ; ღმერთზე ვარ მინდობილი და არ მეშინია, რას მიზამს ხორციელი?

ეს. 41:10-ში უფალი თავის ხალხს განამტკიცებს: ❤ *„ნუ გეშინია [საშიში არაფერია], რადგან შენთან ვარ, ნუ ფრთხი, რადგან შენი ღმერთი ვარ; განგამტკიცებ, შეგეწევი და მხარს დაგიჭერ ჩემი სამართლის [გამარჯვებული] მარჯვენით.“*

ებრაელთა მიმართ წერილის ავტორი 13:5-ში გვაფრთხილებს ქვეყნიური მომხვეჭელობისა და უსაფრთხოების განცდის წინააღმდეგ: ♥ *„ვერცხლისმოყვარენი ნუ იქნებით; დასჯერდით იმას, რაც გაქვთ, რადგან თქვა: „არ მიგატოვებ* ***[არც ერთ შემთხვევაში]*** *და არ დაგაგდებ.“*

შემდეგ მე-6 მუხლში ავტორი განაგრძობს: ♥ *„ამიტომ თამამად ვამბობთ: „უფალია ჩემი შემწე, არ მეშინია: რას მიზამს კაცი?“*

შიში (ინგლისურად, F E A R – false evidence appearing real) არის ცრუ გამოვლინება, რომელიც რეალური ჩანს. მტერს სურს, გითხრათ, რომ თქვენი ახლანდელი მდგომარეობა მომავალი მარცხის მაუწყებელია, მაგრამ ბიბლიური სწავლების თანახმად, ღვთისთვის შეუძლებელი არაფერია თქვენი ამჟამინდელი ვითარების თუ საქმეების გაუარესების მიუხედავად (მარკ. 9:17-23).

ეს. 41:13 გვეუბნება: ♥ „რადგან მე, უფალი – შენი ღმერთი, შენი მარჯვენის დამკავებელი გეუბნები: „ნუ გეშინია, მე შეგეწევი!” ეს ნიშნავს, რომ არ უნდა გეშინოდეთ, როცა ცუდ ამბებს გაიგებთ. განაგრძეთ ღმერთზე მინდობა! მას შეუძლია ყველაფრის სასიკეთოდ შემობრუნება.

რომ, 8:28-ში პავლე მოციქული გვახსენებს, რომ ღვთის მოყვარულებს ყოველივე სასიკეთოდ ეწევათ და ჩვენ მოწოდებულები ვართ ღვთის ჩანაფიქრისა და მიზნის შესაბამისად.

ეს. 43:1-3-ში ვკითხულობთ: ♥ *„ახლა კი ასე ამბობს უფალი – შენი შემქმნელი, იაკობ, და შენი გამომსახველი, ისრაელ: „ნუ გეშინიათ, ვინაიდან გამოგისყიდეთ, მოგიწოდეთ თქვენი სახელით; ჩემი ხართ თქვენ. ვერ წაგლეკავენ წყლები და [სირთულის] მდინარეები, როდესაც მათში გაივლით, რადგან მე ვიქნები თქვენ-*

თან. ვერც [შევიწროების] ცეცხლი დაგწვავთ, როცა მასში გაივლით, ალი ვერ მოგწვდებათ. ვინაიდან მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი, ისრაელის წმიდა და თქვენი მხსნელი ...“

ისწავლეთ ამ სიტყვების ხმამაღლა აღიარება შიშის წინააღმდეგ, ხმამაღლა. წარმოთქვით ისინი, როცა მარტო იქნებით! სულიერ სამყაროს ამცნეთ, რომ შიშით ცხოვრებას აღარ გსურთ. ღვთის სიტყვის აღიარებით ეშმაკს ოფიციალურად უცხადებთ, რომ ტანჯვით ცხოვრებას არ აპირებთ.

გახსოვდეთ, რომ ბიბლიის თანახმად, შიშში არის ტანჯვა (1 იოან. 4:18). იესო მოკვდა, რომ ტანჯვისგან გავეთავისუფლებინეთ, როგორც ეფეს. 3:12,13-ში ვხედავთ. აქ პავლე გვეუბნება, რომ იესო ქრისტეს რწმენით,

❤ *... გვაქვს გაბედულება (სიმხნევე და თავდაჯერება) და საიმედო მისადგომი მისადმი რწმენის მეშვეობით (თავისუფლებაში შიშის გარეშე).* ამიტომ გთხოვთ, გულს ნუ გაიტეხთ, ...

ფს. 46:1,2 გვახსენებს:

❤ „ღმერთია ჩვენი თავშესაფარი და ძალა, სწრაფი შემწე გაჭირვების ჟამს. ამიტომ არ შეგვეშინდება, სახეც რომ იცვალოს დედამიწამ, მთებიც რომ ჩაცვივდნენ ზღვათა შუაგულში.“

იეშუა ნავეს ძის პირველ თავში ღმერთი გამუდმებით ამხნევებს იეშუას, რომ იყოს ❤ *„მტკიცე და გაბედული“* (მ. 6), არწმუნებს მას შემდეგში: ❤ *„შენთან იქნება უფალი, შენი ღმერთი, ყველგან, სადაც კი წახვალ!“* ამ-

რიგად, არ უნდა გეშინოდეთ, რადგან დღესაც იგივეა ღვთის სიტყვა თქვენდამი, როგორიც იეშუას მიმართ იყო.

ღმერთი თქვენთან არის! იგი არ მიგატოვებთ და არ დაგაგდებთ (ებრ. 13:5). მას თვალი უჭირავს თქვენზე გამუდმებით (ფს. 33:18). მას თქვენი სახე აქვს ამოტვიფრული ხელის გულზე (ეს. 49:16). ამრიგად, ნუ შეშინდებით. იყავით ძლიერი, გაბედული, სიმხნევით სავსე და უშიშარი. მათ. 6:34-ში მთაზე ქადაგებისას იესომ მიმდევრებს ასწავლა: ❤ *„მაშ, ნუ დარდობთ ხვალინდელ დღეზე, ვინაიდან ხვალინდელი დღე თვითონ იზრუნებს თავის თავზე. ყოველ დღეს საკმარისად აქვს თავისი გასაჭირი.“*

მათ. 8:23-27-ში ვკითხულობთ, როგორ შეაძრწუნა მოწაფეები ზღვაზე ამოვარდნილმა ქარიშხალმა: ❤ „უთხრა მათ: „რატომ გეშინიათ, მცირედ მორწმუნენო?“ შემდეგ წამოდგა, შერისხა ქარები და ზღვა, და ჩამოვარდა დიდი მყუდროება.” (მუხლი 26).

ლუკ. 12:25, 26-ში იესომ იკითხა: ❤ *„...რომელ თქვენგანს შეუძლია, დარდით ერთი საათი მაინც შემატოს თავის სიცოცხლეს [რა სიკეთეს მოგიტანთ იგი]? მაშ, თუ უმცირესიც არ შეგიძლიათ, დანარჩენზე რაღად დარდობთ?“*

„ნუ გეშინია“ – ამბობს ესაია 54-ე თავის მე-4, მე-5 მუხლებში, – *„რადგან არ შერცხვები, დამცირებულად ნუ იგრძნობ თავს, რადგან არ დამცირდები, სიყმაწვილის სირცხვილს დაივიწყებ და შენი ქვრივობის უპატივობას აღარ გაიხსენებ. რადგან შენი შემქმნელია შენი ქმარი, ცაბაოთ უფალია მისი სახელი; ისრაელის წმიდაა შენი გამომსყიდველი, მთელი ქვეყნის ღმერთად იწოდება იგი.“*

შემდეგ ეს. 35:4-ში ვკითხულობთ: ♥ *„უთხარით სულსწრაფებს: „გამაგრდით, ნუ შეშინდებით, აჰა, თქვენი ღმერთი. მოვა შურისგება, ღვთის საზღაური, მოვა და გიხსნით.“*

სთხოვეთ ღმერთს, რომ გაგამაგროთ შინაგან კაცში, რომ მისმა ძალამ და ძლიერებამ აგავსოთ და არ დაგ-ძლიოთ შიშის ცდუნებამ (ეფეს. 3:16).

მინდა, ერთი მნიშვნელოვანი გამოცხადება გაგიზ-იაროთ, რომელიც ღმერთმა მომცა შიშთან დაკავშირე-ბით. როცა უფალი მისი სიტყვის მეშვეობით გველაპარ-აკება და ამბობს, ♥ *„ნუ გეშინია“, იგი არ გულისხმობს, რომ შიშის გრძნობა არ უნდა გვქონდეს. სინამდვილეში უფალი ამბობს, „როცა გეშინიათ, როცა ეშმაკი შიშის მეშვეობით გიტევთ, ნუ დაეცემით და ნუ გაიქცევით. ამის ნაცვლად, წინ იარეთ შიშის მიუხედავად.“*

წლების განმავლობაში მეგონა, რომ მხდალი ვიყავი, რახან შიშის განცდა მქონდა. ახლა ვისწავლე, რომ ში-შის დაძლევის გზა მასთან პირისპირ შეხვედრა და შეწ-ინააღმდეგებაა. არ შეჩერდეთ და გააკეთეთ ის, რასაც ღმერთი გეუბნებათ, მაშინაც კი, თუ ეს შიშის ზეწოლის ქვეშ მოხდება.

ფს. 34:4-ში დავითი უფალს ეუბნება: ♥ *„ვეძებდი უფალს და მიპასუხა, დამიხსნა ყველა ჩემი შიშისგან.“* ასევე იოანე გვახსენებს: „სიყვარულში არ არის შიში, არამედ სრული [სრულყოფილი, სრულად გაზრდი-ლი] სიყვარული სდევნის შიშს, ვინაიდან შიშში ტან-ჯვაა, მშიშარა კი სრული არ არის სიყვარულში [ჯერ არ მიუღწევია სრულყოფილი სიყვარულისთვის].“ (1 იოან. 4:18).

გახსოვდეთ, რომ ღმერთს უყვარხართ! სწორედ იმის გამო, რომ უყვარხართ და თქვენზე სრული სიყვარუ-ლით ზრუნავს, შეგიძლიათ შიშის გარეშე იცხოვროთ.

შესაძლოა, ახლა თქვენი ცხოვრება შიშით არის მოცული და მისგან გათავისუფლება წარმოუდგენელ ოცნებად მიგაჩნიათ. თუ ასეა, არის რაღაც, რაც უნდა დაიმახსოვროთ: ღმერთს შეუძლია ნებისმიერი პრობლემისგან ერთბაშად გათავისუფლება, მაგრამ ხშირად იგი პატარ-პატარა ნაბიჯებით გვათავისუფლებს. ამრიგად, დარწმუნებული იყავით, რომ უფალი თქვენში შრომობს. ღმერთმა თავისი კეთილი საქმე წამოიწყო თქვენში და **დაასრულებს** კიდეც (ფილ. 1:6).

❤ *„უფალი ღმერთი შუქია ჩემი და გადარჩენა – ვის შევუშინდე?“ – კითხულობს მეფსალმუნე 27:1-ში.* ❤ *„როცა ბოროტნი თავს დამესხმიან ჩემი სხეულის შესასანსლად – თვითონვე წაბორძიკდებიან და დაეცემიან ჩემი მჩაგვრელნი და მტერნი. ლაშქარმაც რომ დაიბანაკოს ჩემს წინააღმდეგ, არ შეშინდება ჩემი გული; ომიც რომ ატყდეს ჩემს წინააღმდეგ, მაინც იმედი მაქვს.“*

იგივე მონაკვეთის მე-5 და მე-6 მუხლებში დავითი განაგრძობს, რომ გასაჭირის დადგომისას ღმერთი დამალავს, მაღალ კლდეზე აიყვანს ყველა მისი მტრისგან მიუწვდომელ ადგილას. შემდეგ ის ამბობს, რომ მსხვერპლს შესწირავს უფალს და სიხარულის სიმღერას უმღერებს მას.

რაც ღმერთმა მეფე დავითისთვის გააკეთა, იმავეს გააკეთებს თქვენთვისაც. მიენდეთ უფალს! მას აქვს ყოველგვარი შიშისგან თქვენი დახსნის ძალა.

დაუკვირდით სიტყვებს, რომლებიც უფლის ანგელოზმა დანიელს უთხრა და დაარწმუნა, რომ მისი ლოცვა შესმენილი იყო: ❤ *„ნუ გეშინია, დანიელ, რადგან პირველივე დღიდან, როცა შენი გული გონიერებას დაუთმე და თავი დაიმდაბლე შენი ღმერთის წინაშე, შესმენილ იქნა შენი ლოცვები და მოვედი შენი სიტყვის საპასუხოდ.“* (დან. 10:12).

ეშმაკი შეეცდება გითხრათ, რომ ღმერთი თქვენს

ლოცვებს არ ისმენს და არ პასუხობს. გახსოვდეთ, რომ ღვთის სიტყვა სულის მახვილია (ეფეს. 6:17). მტერს სიტყვის მახვილით ამარცხებთ. გულში ჩაიმარხეთ ეს სიტყვები და დღითა და ღამით იფიქრეთ მათზე.

მხოლოდ ღვთის სიტყვით შეძლებთ მტრის დამარცხებას. როცა ღვთის სიტყვა იცით, სატანის ტყუილსაც მაშინ ამოიცნობთ. აღიარეთ ღვთის სიტყვა და იგი გამარჯვებამდე მიგიყვანთ.

შესაძლოა, გეშინიათ ძალაუფლებით თქვენზე მაღლა მყოფ პირთან დალაპარაკება. შესაძლოა, რაღაცაში ბრალი დაგდეს და ღელავთ, არ იცით, რა თქვათ თავის დასაცავად. მოუსმინეთ იესოს სიტყვებს ლუკ. 12:11,12-დან: ❤ *„რომ შეგიყვანენ მთავართა და ხელისუფალთა წინაშე, ნუ იდარდებთ, როგორ ან რა უპასუხოთ, ან რა ილაპარაკოთ. რადგან სულიწმიდა გასწავლით იმ დროს, რაც უნდა ილაპარაკოთ.“*

როცა შიშის ზეგავლენის ქვეშ ექცევით, გაიმეორეთ ფს. 23:1-6 უფლისადმი რწმენის აღიარების, თქვენს მიმართ მისი მზრუნველობისა და თვალყურის დევნების ნიშნად:

> ❤ „უფალი ჩემი მწყემსია, არაფერი მომაკლდება. ხასხასა მოლზე დამასვენებს და წყნარ წყლებზე წამიძღვება. სულს განმიახლებს და სიმართლის ბილიკზე წარმიძღვება, თავისი სახელის გამო. სიკვდილის აჩრდილთა ველზეც რომ ვიარო, ბოროტების არ შემეშინდება, რადგან შენა ხარ ჩემთან; მანუგეშებენ შენი კვერთხი
> და შენი საყრდენი. ტაბლა გამიწყე ჩემი მტრების თვალწინ, ზეთი სცხე ჩემს თავს, სავსეა ჩემი თასი და გადმოედინება. ასე, სიკეთე და წყალობა დამედევნება კვალდაკვალ, ყოველდღეს ჩემი სიცოცხლისა; და დავმკვიდრდები უფლის სახლში დღენი მრავალნი.“

დასკვნა: მტკიცედ იდექი!

ამ წიგნში გიზიარებთ წმ. წერილის მონაკვეთებს ღვთის სიყვარულის, მის მიერ დაგეგმილი დიდებული მომავლის, ქრისტეში თქვენი გამართლებისა და შიშისგან გათავისუფლების შესახებ.

ყველა მოყვანილი მუხლი თქვენს, როგორც უფლის მსახურის, მემკვიდრეობას წარმოადგენს. და მაინც, უნდა იცოდეთ, რომ ეშმაკი მათ მოპარვას შეეცდება. მას სურს თქვენი უკან, ბორკილებში დაბრუნება.

სწორედ ამიტომ ამბობს პავლე მოციქული გალ. 5:1-ში: ♥ *„თავისუფლებისთვის გაგვათავისუფლა ქრისტემ. მაშ, იდექით და ნუღარ შეუდგებით მონობის უღელს.“*

გამარჯვებული ქრისტიანული ცხოვრების რამდენიმე გასაღებია სიმტკიცე, მოთმინება და გამძლეობა:

♥ *„მაშ, ნუ მიატოვებთ თქვენს გაბედულებას, რომელსაც დიდი საზღაური აქვს. მოთმინება გესაჭიროებათ, რათა აღასრულოთ ღვთის ნება და მიიღოთ აღთქმული.“*

ებრ. 10:35,36

თქვენს ზეციერ მამას სურს, რომ სრულად ისიამოვნოთ იმით, რაც თქვენთვის შეიძინა იესოს სისხლის

მეშვეობით. იყავით მიზანსწრაფული! ახლავე მიიღეთ გადაწყვეტილება, რომ არასოდეს დანებდებით! აღიარეთ ამ ნაწილში მოცემული წმ. წერილის მუხლები, სანამ ისინი თქვენი არსების ნაწილი არ გახდება.

ყოველთვის გახსოვდეთ, რომ ღმერთს უყვარხართ და მის სიტყვაში სიცოცხლეა!

წმ. წერილის მუხლების აღიარება

შესავალი: *ღვთის სიტყვა*[5]

„ღმერთი თავის სიტყვას მიგზავნის და მკურნავს. იგი გადამარჩენს და საფლავიდან დამიხსნის.“ (ფს.107:20)

„ნეტარი (ბედნიერი, იღბლიანი, წარმატებული და შესაშური) ვარ, რადგან არ დავდივარ უღმერთოთა რჩევით [მათი კარნახით, გეგმებით, მიზნებით], არ მივყვები ცოდვილთა გზას [მორჩილებით და უმოქმედობით] და არც დამცინავ [აბუჩად ამგდებ] ადამიანებთან ვჯდები [ვისვენებ].

ჩემი სიხარული და სიამე უფლის რჯულშია და მის რჯულზე (მცნებებზე, მითითებებზე, სწავლებებზე) დღე და ღამ ფიქრი (განხილვა, შესწავლა) ჩვევად მექცა.

წყლის ნაკადებთან დანერგილ ხეს ვგავარ, რომელიც მზად არის თავის დროზე ნაყოფის გამოსაღებად; ჩემი ფოთოლი არც გახუნდება და არც დაჭკნება; ყველაფერში წარმატებული [და მოწიფულობას მიღწეული] ვიქნები, რასაც გავაკეთებ.“ (ფს. 1:1-3)

„რჯულის ეს წიგნი ჩემს ბაგეს არ მოცილდება. მასზე ვიფიქრებ დღითა და ღამით, რომ კარგად დავინახო და

5. შენიშვნა: ავტორმა აღიარებები მკითხველს მოარგო მითითებული ადგილების პირველ პირში გადაყვანით.

შევასრულო მასში დაწერილი. მაშინ ჩემი გზა სწორად წარიმართება, სიბრძნით ვიმოქმედებ და წარმატება მექნება.“ (ი. ნ. 1:8)

„ახლოა სიტყვა ჩემთან, ჩემს ბაგეზე და ჩემს გულსა და გონებაში, ამიტომ შემიძლია მისი შესრულება.“ (2 რჯ. 30:14)

„ასე იქნება ჩემი ბაგიდან გამოსული ღვთის სიტყვა: იგი ფუჭად [უშედეგოდ] არ დამიბრუნდება, სანამ არ მიაღწევს სასურველ მიზანს და არ ააყვავებს მას, რისთვისაც იქნა გაგზავნილი.“ (ეს. 55:11)

„მე ახდილი სახით ვუყურებ ღვთის დიდებას [ღვთის სიტყვაში] როგორც სარკეში, ამიტომ გამუდმებით გარდავისახები მის ხატებად მზარდი ბრწყინვალებით დიდებიდან დიდებაში; [რადგან ეს მოდის] უფლისგან [რომელიც არის] სული.“ (2 კორ. 3:18)

„ღვთის სიტყვა ჭეშმარიტებაა. როცა მას ვსწავლობ და მასზე ვფიქრობ, ვიცი ჭეშმარიტება და ეს ჭეშმარიტება მათავისუფლებს.“ (იოან. 17:17; 8:32)

თავი 1: ღვთის სიყვარული

„ამ ყოველივეში გამარჯვებულზე მეტი ვარ ჩემი მოყვარულის მეშვეობით.

დარწმუნებული ვარ, რომ ვერც სიკვდილი, ვერც სიცოცხლე, ვერც ანგელოზები და ვერც მთავრობები, ვერც ახლანდელი მუქარა და ვერც მომავალი, ვერც ვერავითარი ძალა, ვერც სიმაღლე და სიღრმე, ვერც რაიმე სხვა ქმნილება ვერ შეძლებს ჩემს ჩამოშორებას ღვთის სიყვარულისგან, რომელიც არის ჩემს უფალ იესო ქრისტეში.“ (რომ. 8:37-39)

„ღმერთმა ისე ძლიერ შემიყვარა და ისე დამაფასა, რომ ჩემთვის ერთადერთი ძეც კი გაწირა, რომ მე, მისი

მორწმუნე (მასზე მინდობილი) არ დავიღუპო, არამედ მქონდეს საუკუნო სიცოცხლე.“ (იოან. 3:16)

„თავად მამას ვუყვარვარ [ნაზად], რადგან იესო შეგიყვარე და ვირწმუნე, რომ იგი მამისგან გამოვიდა.“ (იოან. 16:27)

„მე მაქვს იესოს მცნებები და ვიცავ მათ, ამიტომ იესო [ნამდვილად] მიყვარს; იესო რომ [ნამდვილად] მიყვარს, მისი მამაც შემიყვარებს, იესოსაც ვეყვარები და თავის თავს გამიცხადებს. [იგი თავს ნათლად დამანახებს და რეალური იქნება ჩემთვის].“ (იოან. 14:21)

„მიყვარს უფალი, რადგან პირველად მან შემიყვარა.“ (1 იოან. 4:19)

„რა მშვენიერია შენი დიდი სიყვარული, ღმერთო! შენში ვნახავ თავშესაფარს და შენი ფრთების ჩრდილს მივენდობი.“ (ფს. 36:7)

„ო, უფალო, შენ გასინჯე ჩემი გული და ყველაფერი იცი ჩემს შესახებ. იცი, როდის ვჯდები და როდის ვდგები. შორიდან იცი ყველა ჩემი ფიქრი. შენ გაგყავს ბილიკები ჩემს წინ და მეუბნები, სად შევჩერდე და სად დავისვენო. ნებისმიერ წუთს იცი, სად ვარ. იცი, რის თქმას ვაპირებ, სანამ ვიტყოდე. შენ წინაც მიმიძღვი და უკანაც მომყვები და შენი მაკურთხებელი ხელია ჩემს თავზე.

ეს მეტისმეტად დიდებულია, მეტისმეტად ძნელი დასაჯერებელია! შენს სულს სად დავეკარგები! შენგან ვერასოდეს წავალ, ჩემო ღმერთო!

რა საოცარია, უფალო, იმის გააზრება, რომ გამუდმებით ჩემზე ფიქრობ! ვერც კი დავითვლი, დღის განმავლობაში რამდენჯერ მომართე ჩემკენ შენი ფიქრები. დილით რომ გავიღვიძებ, შენ ისევ ჩემზე ფიქრობ!“ (ფს. 139:1-7,17,18)

„უფალი [წრფელად] იმის მოლოდინშია, როგორ მოიღოს მოწყალება ჩემზე. ამიტომ ამაღლდება, რომ წყალობა მაჩვენოს და სულგრძელობა გამოავლინოს ჩემს მიმართ. რადგან უფალი სამართლიანი ღმერთია. კურთხეული (ბედნიერი, იღბლიანი) ვარ, რადგან მას ველოდები, მისკენ [მისი გამარჯვების, კეთილგანწყობის, მშვიდობის, სიხარულისა და მისი უბადლო, ურღვევი მოზიარეობისკენ] ვისწრაფი!“ (ეს. 30:18)

„უფალი ობლად [უნუგეშოდ, უპატრონოდ, უიმედოდ, შემწეობის გარეშე] არ დამტოვებს; იგი ჩემთან დაბრუნდება.“ (იოან. 14:18)

„თუნდაც დედ-მამამ მიმატოვოს, უფალი თავისთან მიმიღებს [როგორც შვილს].“ (ფს. 27:10)

„ქრისტე რწმენის მეშვეობით [რეალურად] მკვიდრობს [სამუდამოდ სახლდება] ჩემს გულში! სიყვარულში ღრმად მაქვს ფესვები გადგმული და უსაფრთხოდ ვარ დაფუძნებული სიყვარულში.

მაქვს ძალა, რომ ვიყო მტკიცე და ყველა წმიდასთან [ღვთის მიძღვნილ ხალხთან, ვისაც ეს სიყვარული განცდილი აქვს] ერთად ჩავწვდე, რა არის [მისი] სიგანე და სიგრძე და სიმაღლე და სიღრმე.

შევიცანი [პრაქტიკულად, გამოცდილებით] ქრისტეს სიყვარული, რომელიც უბრალო ცოდნას]გამოცდილების გარეშე არსებულს] დიდად აღემატება; [მთელი ჩემი არსებით] სავსე ვარ სრული ღვთიური სისავსით [ღვთიური თანდასწრება უხვად არის ჩემში და გავხდი სხეული, რომელიც თავად ღმერთით არის სავსე ისე, რომ გადმოდის]!“ (ეფეს. 3:17-19)

„იესოს ისე ვუყვარვარ, როგორც მამამ შეიყვარა იგი. ამრიგად, მის სიყვარულში ვცხოვრობ. აი, ასე იზომება მისი სიყვარული ჩემს მიმართ – უდიდეს სიყვარულს მისი მეგობრებისთვის თავის განწირვაც შეუძლია.“ (იოან. 15:9,13)

„ღმერთი აჩვენებს და ნათლად ამტკიცებს მის [საკუთარ] სიყვარულს ჩემს მიმართ იმ ფაქტით, რომ ქრისტე (მესია, ცხებული) მოკვდა ჩემთვის, როცა ჯერ კიდევ ცოდვილი ვიყავი.“ (რომ. 5:8)

„იმდენად დიდია უფლის სიკეთე ჩემს მიმართ, რომ ყველა ჩემი ცოდვა მომაშორა მისი ძის სისხლით, რომლითაც გადარჩენა მივიღე და მისი წყალობის სიმდიდრე უხვად გადმოდის ჩემზე – რა კარგად ესმის და იცის, რაც ჩემთვის საუკეთესოა ყოველ ჟამს.“ (ეფეს. 1:7)

„მთები გადაივლიან და ბორცვები შეირყევიან, მაგრამ უფლის სიყვარული და სიკეთე არ მომშორდება და არც მისი სამშვიდობო აღთქმა დაირღვევა, რადგან უფალმა შემიბრალა.“ (ეს. 54:10)

„ღმერთი ერთგულია (სანდოა და ყველა მისი დაპირება ჭეშმარიტია. შემიძლია მას დავეყრდნო).“ (1 კორ. 1:9)

„აკურთხე (მგზნებარებით, მადლიერებით ადიდე) უფალი, სულო ჩემო; ნუ დაივიწყებ ნურც ერთ მის სიკეთეს – იგი მომიტევებს ყოველ ჩემს ურჯულოებას და კურნავს ყველა ჩემს სნეულებას, იგი იხსნის ჩემს სიცოცხლეს საფლავიდან და დაღუპვიდან. იგი მამშვენებს, ღირსებით მმოსავს და გვირგვინს მადგამს თავისი წყალობით და სულგრძელობით.“ (ფს. 103:1-4).

„უფალი სიკეთით ავსებს ჩემს ცხოვრებას! ჩემი ახალგაზრდობა არწივის მსგავსად ახლდება! იგი სამართალს უჩენს ყველა ჩაგრულს.

იგი მოწყალე და სულგრძელია ყველას მიმართ, ვინც ამას არ იმსახურებს. იგი ნელია რისხვაში და სავსეა სიკეთით და სიყვარულით. იგი უკმაყოფილებას არ ინახავს გულში და არც სამუდამოდ რისხდება, რადგან მისი წყალობა მის მოშიშთა და პატივისმცემელთა მიმართ ისე დიდია, როგორც ზეცა მაღალია დედამი-

წაზე. მან ისე მომაშორა ცოდვები, როგორც აღმოსავლეთია დაშორებული დასავლეთისგან. იგი ჩემთვის მამაა, სულგრძელი და შემბრალე, რადგან ვეკრძალვი მას.

საუკუნოა უფლის სულგრძელობა." (ფს.103:5, 6,8,9,11-13,17)

„წყალობით (ინგ. სიყვარულით) ვარ გარემოცული, რადგან უფალს ვენდობი." (ფს. 32:10)

„უფალს განვადიდებ, რაც არ უნდა მოხდეს. გამუდმებით ვილაპარაკებ მის დიდებასა და წყალობაზე. ვიტრაბახებ მისი სიკეთით ჩემს მიმართ. გამხნევდეს ყველა გულგატეხილი. ერთად განვადიდოთ უფალი და ავამაღლოთ მისი სახელი.

შევღაღადე მას და მიპასუხა! ყველა ჩემი შიშისგან მიხსნა. სხვებიც გაბრწყინდნენ მისი ნამოქმედარის გამო. მათ სახეებს არ უხილავთ უარყოფა! შევღაღადე უფალს და მომისმინა და გასაჭირისგან მიხსნა. უფლის ანგელოზი დარაჯობს და იხსნის ყველას, ვისაც უფლის ეშინია.

ვიგემე ღმერთი და ვნახე, რაოდენ კეთილია იგი! თავად ვიხილე მისი უხვი წყალობა ყველაზე, ვინც მასზეა მინდობილი." (ფს. 34:1-8).

თავი 2: თქვენი მომავალი

„ავია ჩაგრულის ყოველი დღე [მღელვარებისა და ცუდი წინათგრძნობის გამო], მაგრამ მე მხიარული გული მაქვს და მუდამ ვილხენ [გარემოებების მიუხედავად]." (იგ. 15:15)

„უფალს ველოდები და მისი იმედი მაქვს; გაბედული და მხნე ვარ. ჩემი გული მტკიცე და გამძლეა. დიახ, ღმერთს ველოდები და მისი იმედი მაქვს." (ფს. 27:13,14)

„ვიცი, რომ ფიქრები და გეგმები, რომლებიც უფალს ჩემთვის აქვს, სასიკეთო და სამშვიდობო ფიქრები და გეგმებია და არა საზიანო, რომ მომცეს საბოლოო იმედი.“ (იერ. 29:11)

„რას დაღონებულხარ, ჩემო შინაგანო მე? რას დამკვნესი და მაშფოთებ შიგნიდან? ღმერთს მივენდობი და მას დაველოდები. განვადიდებ ჩემი ხსნის ღმერთს მისი შემწეობისთვის.“ (ფს. 42:11)

„ამგვარი იმედი არასოდეს გამიცრუვდება ან შემარცხვენს, რადგან ღვთის სიყვარული ჩაიღვარა ჩემს გულში სულიწმიდის მეშვეობით, რომელიც მომეცა.“ (რომ. 5:5).

„უფალი ღმერთი მზე და ფარია: უფალი მომცემს მადლსა და დიდებას; არ ამცდება სიკეთე, რადგან სწორად დავდივარ მის წინაშე.“ (ფს. 84:11)

„მტკიცედ ვარ დარწმუნებული ერთ რამეში, რომ ჩემში კეთილი საქმის დამწყები გააგრძელებს იესო ქრისტეს დღემდე [მის მეორედ მოსვლის დღემდე] ამ საქმის განვითარებას, სრულყოფასა და სრულ სიმწიფემდე მოიყვანს ჩემში.“ (ფილ. 1:6)

„ღვთის ქმნილება ვარ (მისი ხელის ნამუშაკევი), იესო ქრისტეში ხელახლა შობილი, რომ შევძლო კეთილი საქმეების კეთება, რომლებიც ღმერთმა წინასწარ განმისაზღვრა [იმ გზით სიარული, რომელიც ჩემთვის მომზადდა], რომ მათში ვიარო [ვიცხოვრო კეთილი ცხოვრებით, რომელიც მან დამიდგინა და საცხოვრებლად მომცა].“ (ეფეს. 2:10)

„ყოველგვარ საქმეს და მიზანს თავისი [წინასწარგანსაზღვრული] დრო აქვს. ამრიგად, თავს ვიმდაბლებ ღვთის ძლიერი ხელის ქვეშ, რომ მან თავის დროზე ამამაღლოს.“ (ეკლ. 3:17; 1 პეტრ. 5:6)

„ის, რასაც ღმერთი გეგმავს, უცბად არ მოდის. თანდათანობით, მყარად, უცილობლად ახლოვდება ხედვის აღსრულების დრო. თუ საქმე წინ ნელა მიიწევს, მე არ ვდარდობ, რადგან ყველაფერი ნამდვილად აღსრულდება. უბრალოდ, მოთმინებით დაველოდები! ერთი დღეც არ გადაცდება!“ (აბაკ. 2:3)

„დიდად გამხნევებული ვარ, რადგან ჩემს წინ მდებარე იმედი თავშესაფრად მივიჩნიე. იგი სულის ღუზაა ჩემთვის, რადგან მტკიცე იმედია.“ (ებრ. 6:18,19)

„არ მეშინია, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ [რადგან ღმერთი შემწეა ჩემს საშრომში] ყველაფერი მოგვარდება და სასიკეთოდ [გეგმას შეეთანხმება] მეწევა, რადგან ღმერთი მიყვარს და მოწოდებული ვარ მისი გეგმისა და მიზნის შესაბამისად ცხოვრებისთვის.“ (რომ. 8:28)

„ჩემს ღმერთს შეუძლია [მისი მიზნის განხორციელება] და თან სიუხვით, იმაზე მეტად, ვიდრე [ვბედავ] თხოვნას ან ფიქრს [ყველაზე გაბედული ლოცვების, სურვილების, ფიქრების, იმედებისა თუ ოცნებების მიღმა].“ (ეფეს. 3:20)

„ასევე, იესო ქრისტეში გავხდი [ღვთის] მემკვიდრეობა (წილი) და სამკვიდრო მივიღე; ვინაიდან წინასწარ ვიყავი დადგენილი (არჩეული და დაყენებული) მისი მიზნის შესაბამისად, ვინც ყველაფერს თავისი ნების გადაწყვეტილებისა და განზრახვის თანახმად აკეთებს.“ (ეფეს. 1:11)

„რჯულის ეს წიგნი არ მოშორდება ჩემს ბაგეებს, არამედ დღე და ღამ ვიფიქრებ მასზე, რომ დავიცვა და შევასრულო მასში დაწერილი. მხოლოდ ასე წარმემართება გზა, გონივრულად ვიმოქმედებ და წარმატება მექნება.“ (ი. ნ. 1:8)

„ახლოა ჩემთან სიტყვა, ჩემს ბაგეზე, გონებასა და გულში. ამრიგად, შემიძლია მისი შესრულება.“ (2 რჯ. 30:14).

„ასე იქნება ღვთის სიტყვა, რომელიც ჩემი ბაგიდან გამოდის: იგი ფუჭად [უშედეგოდ] არ დამიბრუნდება, სანამ არ მიაღწევს სასურველ მიზანს და არ ააყვავებს მას, რისთვისაც იქნა გაგზავნილი.“ (ეს. 55:11)

„მე ახდილი სახით ვუყურებ ღვთის დიდებას [ღვთის სიტყვაში] როგორც სარკეში, ამიტომ გამუდმებით გარდავისახები მის ხატებად მზარდი ბრწყინვალებით დიდებიდან დიდებაში; [რადგან ეს მოდის] უფლისგან [რომელიც არის] სული.“ (2 კორ. 3:18)

„ამ ქვეყნიერებას არ დავემსგავსები [არ მივიღებ მის გარეგნულ და ზედაპირულ ჩვეულებებს], არამედ გარდავიქმნები (შევიცვლები) ჩემი გონების [სრული] განახლებით [ახალი იდეებით და დამოკიდებულებით], რომ დავამტკიცო (ჩემთვის), რა არის კარგი და სრულყოფილი ნება ღვთისა ან ნებისმიერი კარგი და ღვთისთვის მისაღები რამ [მისი თვალსაზრისით ჩემთვის].“ (რომ. 12:2)

„ვთვლი, რომ ღმერთი კმაყოფილია იმის გაცხადებით, თუ რა დიდია ამ მსახურების დიდების სიმდიდრე, რომელიც არის ქრისტე ჩემში, დიდების [გაცნობიერების] იმედი.“ (კოლ. 1:27)

„ღვთის მსგავსად, ჯერ არარსებულ საგნებს ისე ვხედავ, თითქოს უკვე იყოს. ვაცხადებ, რომ რჩეული ერის, სამეფო სამღვდელოების, მიძღვნილი ხალხის, [ღვთის] შენაძენის, განსაკუთრებული ადამიანების ნაწილი ვარ, რათა გავაცხადო ღვთის დიდებული საქმეები და წარმოვაჩინო მისი სათნოებანი, ვინც სიბნელიდან მისი საკვირველი სინათლისკენ მომიხმო.“ (რომ. 4:17; 1 პეტრ. 2:9)

„უფალს ვეკუთვნი, ამიტომ იგი საჯაროდ მაღიარებს და ღიად აცხადებს, რომ მისი სამკაული (განსაკუთრებული განძი) ვარ, იგი შემინახავს, როგორც კაცი იფარავს თავის ძეს, რომელიც მას ემსახურება.“ (მალ. 3:17)

„პავლე მოციქულის მსგავსად, არ ვთვლი, რომ უკვე მივწვდი და ჩემს საკუთრებად ვაქციე [ჯერ], მაგრამ ერთ რამეს კი ვაკეთებ [ეს ჩემი უდიდესი სურვილია]: ვივიწყებ, რაც ჩემს უკან არის და ვისწრაფვი იმისკენ, რაც წინ მიდევს.

ვილტვი მიზნისკენ, რომ მოვიპოვო [უმაღლესი და ზეციური] ჯილდო, რომლისკენაც მომიწოდა ღმერთმა იესო ქრისტეში.“ (ფილ. 3:13,14)

„არ ვიხსენებ ძველს [გულწრფელად] და არც განვიხილავ, რაც უკვე იყო.

შეხედეთ! უფალი ახალს ქმნის! ახლა აღმოცენდება იგი. მივხვდი და ვიცი ეს, ყურადღებას ვაქცევ. იგი უდაბნოშიც კი გაიყვანს გზას ჩემთვის და მდინარეებს გააჩენს ხრიოკზე.“ (ეს. 43:18,19)

„უფალს ვეკუთვნი, ამიტომ იგი შლის და აუქმებს ჩემს შეცოდებებს მისი გულისთვის და არასოდეს გაიხსენებს ჩემს ცოდვებს.“ (ეს. 43:25)

„იმის გამო, რომ უფალს ველოდები [მისი იმედი მაქვს], შევიცვლები და ძალას განვიახლებ; ფრთებს გავშლი და ავმაღლდები [ღმერთთან მისაახლოებლად] არწივის მსგავსად [მზისკენ რომ მიფრინავს]; ვირბენ და არ დავიქანცები, ვივლი და არ დავიღლები.“ (ეს. 40:31)

„სრულიად დაკმაყოფილებული და დარწმუნებული ვარ, რომ ღმერთს შეუძლია და დაიცავს კიდეც თავის სიტყვას და შეასრულებს ჩემთვის დაპირებულს, რადგან ღვთიური მოწოდება მაქვს აღსასრულებელი.“ (რომ. 4:21).

თავი 3: თქვენი გამართლება ქრისტეში

„ჩემი გულისთვის ღმერთმა ცოდვად გახადა ქრისტე, რომელმაც ცოდვა არ იცოდა, რომ მასში და მისი მეშვეობით გავხდე [შევიმოსო, ჩავითვალო] ღვთის სიმართლე [რაც უნდა ვიყო, მოწონებული და მიღებული, უფალთან სწორ ურთიერთობაში მყოფი მისი სათნოებით].“ (2 კორ. 5:21)

„შენი სახელი, ღმერთო, და შენი ქება უკუნისამდეა; შენი მარჯვენა სიმართლით [სამართლიანობით] სავსეა.“ (ფს. 48:10)

„იგი ბოლომდე განმამტკიცებს [გამაძლიერებს და გამართლების გარანტიას მომცემს ყველა ბრალდების ან განაჩენის წინააღმდეგ], რათა უმწიკვლო და წუნდაუდებელი ვიყო ჩვენი უფლის იესო ქრისტეს [მესიის] დღეს.“ (1 კორ. 1:8)

„ნეტარი, ბედნიერი და სულიერად წარმატებული ვარ (ამ პოზიციაზე ღვთის ხელახლა შობილი შვილი მისი კეთილგანწყობით და ხსნით ხარობს), რადგან სიმართლეს მოშიებულ-მოწყურებული (სიწრფელე და სწორად დგომა ღვთის წინაშე) სრულად გავძღები!“ (მათ. 5:6)

„უფალს მივანდე ჩემი საზრუნავი [გავთავისუფლდი ტვირთისგან] და იგი განმამტკიცებს. უფალი არასოდეს დაუშვებს მართლის წაბორძიკებას (დაცურებას, მარცხს).“ (ფს. 555:22)

„ბიბლია ჩემი გულისთვისაც დაიწერა, რათა ვიცოდე, რომ [სიმართლე, სწორად დგომა ღვთის წინაშე] მეც ჩამეთვლება, ვინაიდან ვერწმუნე (მივენდე, მივეწებე) ღმერთს, რომელმაც მკვდრეთით აღადგინა ჩემი უფალი იესო.“ (რომ. 4:24)

„მაშასადამე, რაკი რწმენით გავმართლდი (უდანაშაულოდ მაღიარეს, სიმართლე მომანიჭეს და ღვთის წინაშე დგომის უფლება მომცეს), მშვიდობა მაქვს [შერიგების მშვიდობა და სიხარული] ღმერთთან ჩემი უფლის იესო ქრისტეს [მესიის, ცხებულის] მეშვეობით.“ (რომ. 5:1)

„მართალი ვარ და ჩემი უბიწობით დავდივარ, ნეტარნი (ბედნიერნი, იღბლიანნი, შესაშურნი) არიან ჩემი შვილები ჩემს შემდეგ.“ (იგ. 20:7)

„იმის გამო, რომ მართალი ვარ, ჩემი შველა უფლისგანაა; ის არის ჩემი თავშესაფარი და დაცული სიმაგრე გაჭირვების ჟამს.“ (ფს. 37:39)

„ჩემს წინააღმდეგ გამოჭედილი ყოველი იარაღი გაცუდდება და ყოველ ენას, რომელიც ბრალს დამდებს სამსჯავროზე, მე დავდებ მსჯავრს. ეს [მშვიდობა, სიმართლე, დაცვა, გამარჯვება] არის უფლის მსახურთა [ვისშიც გამოისახა ღვთის იდეალური მსახურის სახე] ხვედრი. ეს არის სიმართლე ანუ გამართლება, რომელიც უფლისგან მოვიპოვე [ეს არის ჩემი წილი გამართლების ნიშნად].“ (ეს. 54:17)

„იმის გამო, რომ [შეუდრეკელი] მართალი ვარ, უფლის თვალები ჩემსკენ არის მოპყრობილი და მისი ყურები ჩემს ღაღადს ისმენს.

როცა მე, მართალი, დახმარებას შევევედრები, უფალი მისმენს და ყველა ჩემი შევიწროებისა და გასაჭირისგან მიხსნის.

მრავალი ბოროტება მხვდება, მართალს [გამუდმებით სწორ მდგომარეობაში მყოფს], მაგრამ უფალი დამიხსნის ყველაფრისგან.

იმის გამო, რომ უფლის მსახური ვარ, იგი იხსნის ჩემს სიცოცხლეს. მასში ვპოულობ თავშესაფარს, მას მივენდობი და პასუხს არ ვაგებ.“ (ფს. 34:15,17,19,22)

„სიმართლეში (ღვთის ნებასა და წესრიგთან თანხმობაში) დავფუძნდები, შორს ვიქნები ჩაგვრაზე ფიქრისგანაც კი, რადგან არ შემეშინდება; შორს ვიქნები ძრწოლისგან, რადგან არ მოგიახლოვდება.“ (ეს. 54:14)

„[უკომპრომისო] მართალი ვარ, ამიტომ ლომივით გაბედული ვარ.“ (იგ. 28:1)

„არ მყავს ისეთი მღვდელმთავარი, რომელიც ვერ შეძლებს ჩემს გაგებას და შებრალებას და ჩემს სისუსტეებსა და უძლურებებში თანაგრძნობას, ცოდვისადმი მიდრეკილების გაგებას, არამედ იგი ყველაფერში გამოცდილია გარდა ცოდვისა.

უშიშრად და გაბედულად ვუახლოვდები მადლის ტახტს (ჩემს მიმართ ღვთის დაუმსახურებელი კეთილგანწყობის ტახტს), რომ მივიღო წყალობა [ჩემი მარცხის გამო] და თავის დროზე ვპოვო მადლი ყოველ საჭიროებაში დასახმარებლად [სათანადო დახმარება, თანაც იმ დროს, როცა მჭირდება].“ (ებრ. 4:15,16)

„რაკი ახლა გამართლებული (მიღებული, ღმერთთან სწორ მდგომარეობაში მყოფი) ვარ ქრისტეს სისხლით, რაოდენ უცილობელია, რომ იგი დამიხსნის ღვთის მომავალი რისხვისგან.“ (რომ. 5:9)

„ნეტარი (ბედნიერი, იღბლიანი, წარმატებული და შესაშური) ვარ, რადგან არ დავდივარ უღმერთოთა რჩევით [მათი კარნახით, გეგმებით, მიზნებით], არ მივყვები ცოდვილთა გზას [მორჩილებით და უმოქმედობით] და არც დამცინავ [აბუჩად ამგდებ] ადამიანებთან ვჯდები [ვისვენებ].

ჩემი სიხარული და სიამე უფლის რჯულშია და მის რჯულზე (მცნებებზე, მითითებებზე, სწავლებებზე) დღე და ღამ ფიქრი (განხილვა, შესწავლა) ჩვევად მექცა.

წყლის ნაკადებთან დანერგილ ხეს ვგავარ, რომელიც მზად არის თავის დროზე ნაყოფის გამოსაღებად; ჩემი ფოთოლი არც გახუნდება და არც დაჭკნება; ყველაფერში წარმატებული [და მოწიფულობას მიღწეული] ვიქნები, რასაც გავაკეთებ.“ (ფს. 1:1-3)

„არ განშორდება რჯულის ეს წიგნი ჩემს ბაგეებს –დღე და ღამე მასზე ვიფიქრებ, რომ ვიფხიზლო ყოველივე მასში ჩაწერილის აღსასრულებლად, რადგან მაშინ მივაღწევ წარმატებას და სიკეთეს ჩემს გზებზე.“ (ი.ნ.1:8)

„უფლის სახელი მტკიცე კოშკია. მე როგორც [გამუდმებით] მართალი ადამიანი [ღვთის წინაშე სწორ მდგომარეობაში მყოფი], გავიფურჩქნები და მშვიდობაში დავფუძნდები, სანამ მთვარე იარსებებს.“ (ფს. 72:7)

„ეს არის აღთქმა, რომელიც ღმერთმა აღმითქვა: მან დაწერა მისი რჯული ჩემს გულზე და ჩადო ჩემს გონებაში [შინაგან აზროვნებასა და გაგებაში], და აღარ გამიხსენებს ჩემს ცოდვებსა და ურჯულოებას. სადაც ცოდვების მიტევებაა, იქ საჭირო აღარ არის შესაწირი მათთვის.“ (ებრ. 10:16-18)

„სრული თავისუფლებით და დარწმუნებით შევდივარ [წმიდათა] წმიდაში იესოს სისხლით [მისი ძალით და სათნოებით],

ახალი და ცოცხალი გზით, რომელიც მან გაკვალა და ჩემთვის გახსნა გამყოფი ფარდის მიღმა (წმიდათა წმიდას კრეტსაბმელი) მისი ხორცით.“ (ებრ. 10:19,20)

„ჩემი გულისთვის ღმერთმა ქრისტე გახადა ცოდვად, რათა გავმხდარიყავი ღვთის სიმართლე მასში [რაც უნდა ვიყო, მოწონებული, მიღებული და ღმერთთან სწორ მდგომარეობაში მყოფი მისი სიკეთით].“ (2კორ. 5:21)

თავი 4: შიშის დაძლევა

„ღმერთს არ მოუცია ჩემთვის სიმხდალის სული

(შიშის, სულმოკლეობის, მონობის სული), არამედ [მან მომცა] ძალის, სიყვარულის, სიმშვიდის, გაწონასწორებული აზროვნების და თავშეკავების სული.“ (2 ტიმ. 1:7)

„უფალს ვეძებდი (ვიკვლევდი) და ვითხოვდი [მისი სიტყვის საჭიროებაიდან და ძალაუფლებიდან გამომდინარე]. მან მომისმინა და მიხსნა ყველა ჩემი შიშისგან.“ (ფს. 34:4)

„ჩემს გულს შეკრთომის ნებას არ მივცემ და არც შევშინდები. [შეწყვეტ შფოთვას და თავს უფლებას არ მივცემ, რომ დაშინებული, სულმოკლე და მერყევი ვიყო].“ (იოან. 14:27)

„როდესაც მეშინია, შენზე ვდებ იმედს. ღვთის [დახმარებით], მის სიტყვას ვაქებ; ღმერთზე ვარ მინდობილი და არ მეშინია, რას მიზამს ხორციელი ადამიანი?“ (ფს. 56:3,4)

„[საშიში არაფერია], რადგან ღმერთი ჩემთან არის; არ დავფრთხები, რადგან ის ჩემი ღმერთია; იგი განმამტკიცებს, შემეწევა და მხარს დამიჭერს მისი სამართლის [გამარჯვებული] მარჯვენით.“ (ეს. 41:10)

„თავად [ღმერთმა] თქვა, არასოდეს მიგატოვებ და არ დაგაგდებ შემწეობის გარეშე. **არავითარ შემთხვევაში** არ დაგტოვებ მიუსაფარს და არ გიღალატებ (ჩემს მხარდაჭერას არ მოგიშლი)!

ამრიგად, ნუგეშცემული და გამხნევებული ვარ. გაბედულად ვამბობ, რომ უფალია ჩემი შემწე, არ შევშინდები [არ შევძრწუნდები]. რას მიზამს ადამიანი?“ (ებრ. 13:5,6)

„უფალს, ჩემს ღმერთს უჭირავს ჩემი მარჯვენა; ის არის უფალი, რომელიც მეუბნება – ნუ გეშინია, შეგეწევი!“ (ეს. 41:13)

„არ მეშინია, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ [ვინაიდან ღმერთი შემწეა ჩემს საშრომში] ყველაფერი მოგვარდება და სასიკეთოდ [გეგმას შეეთანხმება] მეწე-

ვა, რადგან ღმერთი მიყვარს და მოწოდებული ვარ მისი გეგმისა და მიზნის შესაბამისად.“ (რომ. 8:28)

„ჩემი შემქმნელი უფალი ამბობს: ნუ გეშინია, ვინაიდან გამოგისყიდე, მოგიწოდე სახელით; ჩემი ხარ შენ. ვერ წაგლეკავენ წყლები და [სირთულის] მდინარეები, როდესაც მათში გაივლით, რადგან მე ვიქნები თქვენთან. ვერც [შევიწროების] ცეცხლი დაგწვავთ, როცა მასში გაივლით, ალი ვერ მოგწვდებათ. ვინაიდან მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი, ისრაელის წმიდა და თქვენი მხსნელი.“ (ეს. 43:1-3)

„არ შემეშინდება, რადგან შიშში ტანჯვაა.

ამის ნაცვლად, გაბედულად (სიმხნევით და დაჯერებულობით) ვუახლოვდები ღმერთს (თავისუფლად და შიშის გარეშე).

ამრიგად, გული არ დამიფრთხება [არ შევღონდები შიშისგან].“ (1 იოან. 4:18; ეფეს. 3:12,13)

„ღმერთია ჩემი თავშესაფარი და ძალა, სწრაფი შემწე გაჭირვების ჟამს. ამიტომ არ შემეშინდება, სახეც რომ იცვალოს დედამიწამ, მთებიც რომ ჩაცვივდნენ ზღვათა შუაგულში.“ (ფს. 46:1,2)

„გავმაგრდები, გავმხნევდები, არ შევდრკები და არ შევშინდები, რადგან ჩემთან იქნება უფალი ჩემი ღმერთი ყველგან, სადაც კი წავალ.“ (ი.ნ. 1:9)

„არ შემეშინდება, რადგან უფლის თვალია ჩემზე. მისი მოშიში ვარ [ვეკრძალვი და თაყვანს ვცემ]. მას ველოდები და მისი წყალობისა და სულგრძელობის იმედი მაქვს.“ (ფს. 33:18)

„არ ვდარდობ და არ ვშფოთავ ხვალინდელ დღეზე, რადგან ხვალინდელ დღეს თავისი საზრუნავი აქვს. ყოველ დღეს საკმარისად აქვს თავისი გაჭირვება.“ (მათ. 6:34)

„არ მეშინია, რადგან არ შევრცხვები. ჩემი ახალგაზრდობისდროინდელ სირცხვილს და ქვრივობის მწუხარებას აღარავინ გაიხსენებს, რადგან ჩემი შემოქმედი

იქნება ჩემი „ქმარი". მხედრობის უფალია მისი სახელი; იგია ჩემი გამომსყიდველი, წმიდა ისრაელისა, მთელი ქვეყნიერების ღმერთი." (ეს. 54:4)

„როცა შიშით ვცდუნდი და სულსწრაფობა გამოვიჩინე, ჩემს თავს ვუთხარი „გამაგრდი, ნუ შეშინდები, აჰა, შენი ღმერთი. მოვა შურისგება, ღვთის საზღაური, მოვა და მიხსნის." (ეს. 35:4)

„არ მეშინია, რადგან ღმერთმა თავისი დიდების სიმდიდრით მომცა ძალა, რათა გავმაგრდე და განვმტკიცდე შინაგან კაცში მისი სულით [რომელიც დამკვიდრებულია ჩემს შინაგან არსებაში]." (ეფეს. 3:16)

„განვადიდებ უფალს და ავამაღლებ მის სახელს, რადგან შევღაღადე და მიპასუხა! მან გამათავისუფლა ყველა ჩემი შიშისგან." (ფს. 34:3,4)

„არ მეშინია, რადგან სიყვარულში არ არის შიში, არამედ სრული [სრულყოფილი, სრულად გაზრდილი] სიყვარული სდევნის შიშს და ძრწოლის ყოველგვარ კვალს! ვინაიდან შიშს ტანჯვა მოაქვს. არ მეშინია, რადგან სრული ვარ სიყვარულში [მივაღწიე სრულყოფილ სიყვარულს]." (1 იოან. 4:18)

„უფალია ჩემი შუქი და ხსნა ჩემი; ვის შევუშინდე? როცა ბოროტნი თავს დამესხმიან, თვითონვე წაბორძიკდებიან და დაეცემიან! ლაშქარმაც რომ დაიბანაკოს ჩემს წინააღმდეგ, არ შეშინდება ჩემი გული; დარწმუნებული ვარ, რომ ღმერთი დამიხსნის.

გასაჭირის დადგომისას ღმერთი დამმალავს. მაღალ კლდეზე ამიყვანს ყველა ჩემი მტრისგან მიუწვდომელ ადგილას. მე მსხვერპლს შევწირავ უფალს და სიხარულის სიმღერას ვუმღერებ მას." (ფს. 27:1-3,5,6)

„არ შეშინდები, რადგან პირველივე დღიდან, როცა ჩემი გული გონიერებას დავუთმე და თავი დავიმდაბლე ჩემი ღმერთის წინაშე, შესმენილ იქნა ჩემი ლოცვები და მოვიდა ჩემი სიტყვის საპასუხოდ." (დან. 10:12)

„როცა შემიყვანენ მთავართა და ხელისუფალთა წინაშე, არ ვიდარდებ, როგორ ან რა ვუპასუხო, ან რა ვილაპარაკო. რადგან სულიწმიდა მასწავლის იქ დგომისას, რაც უნდა ვილაპარაკო.“ (ლუკ. 12:11)

„უფალი ჩემი მწყემსია, არაფერი მომაკლდება. ხასხასა მოლზე დამასვენებს და წყნარ წყლებზე წამიძღვება. სულს განმიახლებს და სიმართლის ბილიკზე წარმიძღვება, თავისი სახელის გამო.

სიკვდილის აჩრდილთა ველზეც რომ ვიარო, ბოროტების არ შემეშინდება, რადგან უფალია ჩემთან; მანუგეშებენ მისი კვერთხი და მისი საყრდენი.

მან ტაბლა გამიწყო ჩემი მტრების თვალწინ, ზეთი სცხო ჩემს თავს, სავსეა ჩემი თასი და გადმოედინება.

ასე, სიკეთე და წყალობა დამედევნება კვალდაკვალ, ყოველდღეს ჩემი სიცოცხლისა; და დავმკვიდრდები უფლის სახლში დღენი მრავალნი.“ (ფს. 23:1-6)

დასკვნა: მტკიცედ დგომა

„მტკიცედ დავდგები, რადგან თავისუფლებისთვის გამათავისუფლა ქრისტემ და აღარასოდეს შევუდგები მონობის უღელს.“ (გალ. 5:1)

„არ მივატოვებ ჩემს გაბედულებას, რომელსაც დიდი საზღაური აქვს.

მოთმინება მესაჭიროება, რათა აღვასრულო ღვთის ნება და მივიღო [სრულად გავიხარო] აღთქმული.“ (ებრ. 10:35,36)

ადგილები ბიბლიიდან

მუხლები მოყვანილია ბიბლიის 2015 წლის თარგმანიდან.

ფიგურულ ფრჩხილებში მოყვანილია გაფართოებული თარგმანი.

ავტორის შესახებ

ჯოის მაიერი ღვთის სიტყვას ასწავლის 1976 წლიდან, ხოლო სრული დროით მსახურებას ეწევა 1980 წლიდან. იგი გახლავთ 60-ზე მეტი შთამაგონებელი ბესტსელერის ავტორი ისეთი წიგნების ჩათვლით, როგორებიცაა, *„მშვიდობის ძიებაში“, „როგორ გავიგოთ ღვთის ხმა“, „ღვთის შეცნობა“* და *„გონება — ბრძოლის ველი“*. მან ასევე გამოუშვა ათასობით სასწავლო კასეტა და სრული ვიდეობიბლიოთეკა. ჯოისის რადიოგადაცემა და ტელეპროგრამა – *ყოველდღიური ცხოვრების სიხარული* – მთელს მსოფლიოში გადაიცემა. იგი ხშირად მოგზაურობს კონფერენციების ჩასატარებლად. ჯოისი და მისი მეუღლე დეივი ოთხი ზრდასრული შვილის მშობლები არიან და სენტ ლუისში, მისურის შტატში ცხოვრობენ.

ლოცვა სულის გადარჩენისთვის

ღმერთს უყვარხართ და თქვენთან ახლო ურთიერთობა სურს. თუ იესო ქრისტე თქვენს მხსნელად არ მიგიღიათ, ამის გაკეთება ახლავე შეგიძლიათ. უბრალოდ, გული გაუღეთ მას და შემდეგი ლოცვა წარმოთქვით...

„ზეციერო მამა, ვიცი, რომ შევცოდე შენს წინაშე. გთხოვ, მაპატიო. განმბანე ცოდვებისგან. პირობას გაძლევ, რომ მივენდობი იესოს, შენს ძეს. მწამს, რომ ის ჩემი გულისთვის მოკვდა – ჩემი ცოდვები აზიდა ჯვარზე. მწამს, რომ მკვდრეთით აღდგა. ჩემს ცხოვრებას ახლავე ვუძღვნი იესოს.

მადლობა, მამა, პატიებისა და მარადიული ცხოვრების ნიჭისთვის. დამეხმარე, რომ შენთვის ვიცხოვრო. იესოს სახელით, ამინ.”

თუ გულით წარმოთქვით ეს სიტყვები, ღმერთმა მიიღო თქვენი ლოცვა, გაგწმინდათ და სულიერი სიკვდილის ყოველგვარი ბორკილისგან გაგათავისუფლათ. დრო გამოყავით ქვემოთ მოყვანილი ბიბლიური მუხლების წასაკითხად და ღმერთს სთხოვეთ, რომ მათი მეშვეობით დაგელაპარაკოთ ახლადბოძებული სიცოცხლის განმავლობაში.

იოან. 3:16
ეფეს. 1:4
1 იოან. 1:9
1 იოან. 5:1
1 კორ. 15:3-4
ეფეს. 2:8,9
1 იოან. 4:14-15
1 იოან. 5:12-13

ილოცეთ და უფალს სთხოვეთ, გაპოვნინოთ კარგი, ბიბლიის მორწმუნე ეკლესია, რომ გამხნევდეთ და გაიზარდოთ ქრისტესთან ურთიერთობაში. ღმერთი ყოველთვის თქვენთან არის. იგი წაგიძღვებათ და გაჩვენებთ, როგორ უნდა იცხოვროთ უხვი ცხოვრებით, რომელიც თქვენთვის მოამზადა!

ავტორს დაუკავშირდით:

Joyce Meyer Ministries
P.O. Box 655
Fenton, Missouri 63026
or call: (636) 349-0303
Internet Address: www.joycemeyer.org

Please include your testimony or help received from this book when you write. Your prayer requests are welcome.

To contact the author
In Canada, please write:
Joyce Meyer Ministries Canada, Inc.
Lambeth Box 1300
London, ON N6P 1T5
or call: (636) 349-0303

In Australia, please write:
Joyce Meyer Ministries-Australia
Locked Bag 77
Mansfield Delivery Centre
Queensland 4122
or call: 07 3349 1200

In England, please write:
Joyce Meyer Ministries
P.O. Box 1549
Windsor
SL41GT
or call: (0) 1753-831102

Go to tv.joycemeyer.org to watch Joyce's messages in a variety of languages.

ღმერთი თქვენი ცხოვრების დახსნის მოლოდინშია!

ღმერთს უყვარხართ და თქვენი ცხოვრებისთვის მშვენიერი და დიდებული გეგმა დასახა. და მაინც, ზოგჯერ ძნელი დასაჯერებელია, რომ იგი განსაკუთრებულ ხვედრს გიმზადებთ. თუ წარსულმა თქვენში ტკივილი ან უღირსობის გრძნობა დატოვა, ძნელი იქნება ღვთის უპირობო სიყვარულის მიღება. ღმერთს დღეს თქვენამდე მოსვლა სურს. იმედი არ დაკარგოთ... ამ წიგნში თქვენთვის საჭირო პასუხს იპოვით.

ამ წიგნის ფურცლებზე ჯოის მაიერი გაგიცხადებთ, როგორ შეცვალოთ საკუთარ თავზე შექმნილი წარმოდგენა იმით, როგორსაც უფალი გხედავთ. როცა ირნმუნებთ ღვთის მიერ თქვენს შესახებ ნათქვამს, თქვენი აწმყო და მომავალი სასწაულებრივად შეიცვლება და ღვთაებრივი გეგმის ამსახველი გახდება. ისწავლით შიშზე გამარჯვებას და თქვენს გონებას სიმშვიდე მოიცავს. ეს ყველაფერი მოვა თქვენს ცხოვრებაში, როცა ღმერთს მიანდობთ მომავალს.

დაე, დღეიდანვე დაიწყოს ღვთის სიტყვამ თქვენს გულში მოქმედება. ახლავე მიეცით ღვთის უზარმაზარ სიყვარულს მისი შეხებისა და განკურნების საშუალება.